სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

წარმომადგენლობითი საბჭოს დისტანციური სხდომის ოქმი №2

**ქ. თბილისი** **2022 წლის 25 მარტი**

ქვეყანაში და მსოფლიოში მიმდინარე კორონავირუსთან (COVID-19) დაკავშირებული პანდემიის გამო წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომის ფორმატთან დაკავშირებით მიღებული იქნა გადაწყვეტილება, წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომის დისტანციურად, ელექტრონული საშუალებების გამოყენებით ჩატარების თაობაზე.

შესაბამისად, თსუ სენატის სამდივნოს მიერ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებს ელ. მისამართებზე დაეგზავნათ წარმომადგენლობითი საბჭოს დისტანციური სხდომის დღის წესრიგი, შესაბამისი მასალებით და ეთხოვათ, ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, დისტანციურად დააფიქსირებინათ პოზიცია, უჭერდნენ თუ არა მხარს წარმოდგენილ საკითხებს.

**დისტანციური სხდომის დღის წესრიგი:**

1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა სტატუსის შესახებ (მომხსენებელი: გიორგი ჩაკვეტაძე)
2. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2021 წლის ანგარიშის წარდგენა (მომხსენებელი: მზექალა აჭაიძე)
3. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2021 წლის ანგარიშის დამტკიცება (მომხსენებელი: ლაშა საღინაძე)
4. „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი) შრომის ანაზღაურების (თანამდებობრივი სარგო და დანამატი) ოდენობისა და პირობების დადგენის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2013 წლის 4 ოქტომბრის №112/2013 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე” აკადემიური საბჭოს 2022 წლის 21მარტის №27/2022 დადგენილების დამტკიცება (მომხსენებლები: ლაშა საღინაძე, დიმიტრი კორძაია)
5. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ „წმინდა მიქაელ მთავარანგელოზის სახელობის კლინიკის'' 45%-იანი წილის შეძენაზე თანხმობის გაცემისა და წილის შეძენასთან დაკავშირებით, ფინანსური უზრუნველყოფის მიზნით, "საქართველოს ბანკისგან" სესხის აღებაზე თანხმობის გაცემის შესახებ (მომხსენებლები: ლაშა საღინაძე, დიმიტრი კორძაია, გია ლობჟანიძე)

თსუ სენატის სამდივნოში, ელ. ფოსტის მეშვეობით, თავიანთი პოზიცია დააფიქსირეს წარმომადგენლობითი საბჭოს შემდეგმა **43** წევრმა:

1.მარინე ხუციშვილი 2. აპოლონ თაბუაშვილი 3. ლალი ახალბედაშვილი 4.ალექსანდრე გაბაშვილი 5. მიხეილ რუხაია 6. გიორგი გოგსაძე 7.შოთა კეჟერაშვილი 8. ვლადიმერ მარგველაშვილი 9. კახაბერ ლორია 10. დაჩი ჩიტაია 11. ზურაბ გაიპარაშვილი 12. თინა ქიტუაშვილი 13. ნინო ჭალაგანიძე 14. ნინო აბესაძე 15. მანანა ნიკოლაიშვილი 16. ნოდარ ხოდელი 17. ნათელა არჩვაძე 18. სოფიო ხუციშვილი 19. ირინე ჟვანია 20. ლია მაჭავარიანი 21. ელისაბედ ბჟალავა 22. მარინა გურგენიშვილი 23. მარინა გარიშვილი 24. გვანცა გვანცელაძე 25. მათე შვანგირაძე 26. თემურ ცქიტიშვილი 27. ციური სუმბაძე 28. ადა ნემსაძე 29. ნაზირა კაკულია 30. ეთერ კაკულია 31. თამარ პაიჭაძე 32. მანანა რუსეიშვილი 33. ნოდარ ლომიძე 34. დინა ხუციშვილი 35. საბა სახვაძე 36. თამარ ზერაძე 37. გიორგი ჯაფოშვილი 38. ილია თავხელიძე 39. მიხეილ ბახტაძე 40. ეკა ვარდოშვილი 41. თამილა ჩალაძე 42. ნინო ჩახუნაშვილი 43. ბებერაშვილი ელენე (დანართი 1)

იმის გათვალისწინებით, რომ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, დღის წესრიგით გათვალისწინებული რიგი საკითხების განხილვაში მონაწილეობს ასევე აკადემიური საბჭო, მასალები რექტორის აპარატისა და აკადემიური საბჭოს სამდივნოს მიერ გადაგზავნილი იქნა თსუ აკადემიური საბჭოს წევრებთან გასაცნობად (დანართი 2).

დისტანციური სხდომის დღის წერიგის 1-ელ საკითხთან დაკავშირებით (სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებისათვის უფლებამოსილების შეწყვეტა) წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებს ეცნობათ, რომ საკითხი ეხება ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის წარმომადგენლის - ბატონი ბეჟან თუთბერიძისათვის წარმომადგენლობითი საბჭოს წევრის სტატუსის შეწყვეტას (გარდაცვალების გამო), პირადი განცხადების საფუძველზე, ასევე წევრობის სტატუსი უწყდებათ იურიდიული ფაკულტეტის წარმომადგენელს ბატონ კობა ყალიჩავასა და ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის წარმომადგენელს ბატონ ლევან საბაურს. არცერთ შემთხვევაში აღნიშნულ პირებს უფლებამონაცვლეები არ ჰყავთ.

დისტანციური დღის წესრიგის მე-5 საკითხთან დაკავშირებით (სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ „წმინდა მიქაელ მთავარანგელოზის სახელობის კლინიკის'' 45%-იანი წილის შეძენაზე თანხმობის გაცემისა და წილის შეძენასთან დაკავშირებით, ფინანსური უზრუნველყოფის მიზნით, "საქართველოს ბანკისგან" სესხის აღებაზე თანხმობის გაცემის შესახებ (მომხსენებლები: ლაშა საღინაძე, დიმიტრი კორძაია, გია ლობჟანიძე) მ.წ. 23 მარტს, ელექტრონული საშუალებით, პროგრამა ZOOM -ის გამოყენებით ჩატარდა საინფორმაციო შეხვედრა (მონაწილეობდნენ: წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები: მიხეილ რუხაია, დაჩი ჩიტაია, ზურაბ გაიპარაშვილი, გიორგი გოგსაძე, კახაბერ ლორია, ილია თავხელიძე, ლალი ახალბედაშვილი, ვლადიმერ მარგველაშვილი, ასევე საკითხის მომხსენებელი - გია ლობჟანიძე და სენატის სამდივნოს წარმომადგენლები); წარმომადგენლობითი საბჭოს წევრი, მიხეილ რუხაია დაინტერესდა, რატომ ვერ ხერხდება არსებულ ბაზაზე საუნივერსიტეტო კლინიკის შექმნა და რატომ ვყიდულობთ სხვა კლინიკას, უფრო იაფი ჯდება? ასევე დაინტერესდა, თუ შევიძენთ სხვა საავადმყოფოს, ზემოთ აღნიშნულ ქონებას რაში გამოვიყენებთ? საკითხთან დაკავშირებით თავიანთი უარყოფითი პოზიცია

დააფიქსირეს წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა გიორგი გოგსაძემ და ილია თავხელიძემ. ბატონმა გიორგი გოგსაძემ აღნიშნა, რომ უმჯობესი იყო ჯერ არსებული შენობის გაყიდვა და შემდგომ ახლის შეძენა და დაინტერესდა, რატომ დადგა ეს საკითხი დღეს და არა მაგალითად, 1 წლის წინ? იგივე პოზიცია გაიზიარა ბატონმა ილია თავხელიძემ.

მომხსენებელმა, ვრცლად ისაუბრა საკითხის ირგვლივ, და აღნიშნა, რომ:

1. კონსტიტუციის ქუჩაზე არსებული შენობა არის ავარიული... ცარიელი, დაახლოებით 12 წელია დაცლილია ყველაფრისგან და წარმოადგენს ნარჩენებით და ნაგვით სავსე სივრცეს, კარებებისა და ფანჯრების გარეშე...სარდაფი სავსეა წყლით, ჩადის წვიმა და ა.შ.

2. თბილისში ძალიან რთულია, თანამედროვე სტანდარტების მქონე, მრავალპროფილური და მრავალსაწოლიანი კლინიკის შეძენა ხელმისაწვდომ ფასად. ამის გაგება ძალიან ადვილია. კლინიკები იყიდება გაცილებით მაღალ ფასში. ამის მაგალითების მოყვანაც არის შესაძლებელი;

3. სესხის აღების შემთხვევაში, გადახდის დაწყება მოხდება მხოლოდ 6 თვის შემდეგ. კონსტიტუციის ქუჩაზე არსებული შენობის გაყიდვას ამ პერიოდისთვის, თავისუფლად მოახერხებს ეკონომიკის სამინისტრო და გადმოგვცემს თანხას;
4.კლინიკის საკითხი ყოველთვის იყო აქტუალური,მაგრამ უნივერსიტეტს არ ქონდა შესაბამისი თანხა;
5. უკანასკნელ წელს, თუ რატომ გახდა განსაკუთრებით აქტუალური, ამის შესახებ, როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, თავის წერილში განმარტება გააკეთა ფაკულტეტის დეკანმა. მალე დასრულდება ონლაინ მეცადინეობები და სტუდენტებისთვის გვჭირდება საუნივერსიტეტო კლინიკა, განსაკუთრებით კი უცხოელებისთვის, რომლებიც იხდიან საკმაოდ მაღალ თანხას და საჭიროებენ კლინიკური უნარების ათვისებისთვის საჭირო გარემოს. ზაფხულისთვის ველოდებით უცხოელი სტუდენტების ახალ ნაკადს და მათ უნდა მივაწოდოთ ინფორმაცია კლინიკური ბაზების შესახებ;
6. მედიცინის ფაკულტეტის აკადემიურმა პერსონალმა და ადმინისტრაციამ, ბევრი იმსჯელა აღნიშნულ საკითხზე და მხოლოდ ამის შემდეგ მიიღო აღნიშნული გადაწყვეტილება;
7. დღევანდელ რთულ პირობებში,უნივერსიტეტის თანამშრომლების, მათი ოჯახის წევრებისა და სტუდენტებისთვისაც საჭიროა მაღალკვალიფიციური და შეღავათიანი პირობებით სადიაგნოსტიკო-სამკურნალო მომსახურების ხელმისაწვდომობა.
საკითხის მომხსენებელმა, ბატონმა გია ლობჟანიძემ, გარდა ონლაინ-შეხვედრისა, თავისი პოზიცია ასევე წერილობითი ფორმით, ელექტრონული ფოსტის მეშვეობით გაუზიარა წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებს. საუნივერსიტეტო კლინიკის ფლობის მნიშვნელობაზე და საჭიროებაზე თავიანთი დადებითი პოზიცია დააფიქსირეს წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა: დაჩი ჩიტაიამ, თინა ქიტუაშვილმა, ნოდარ ხოდელმა, ვლადიმერ მარგველაშვილმა, ციური სუმბაძემ;

**შესაბამისად, მიღებულად ჩაითვალა შემდეგი გადაწყვეტილებები:**

1. შეუწყდეთ სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს წევრის სტატუსი:

1.1. ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის წარმომადგენელს -ბეჟან თუთბერიძეს;

1.2. იურიდიული ფაკულტეტის წარმომადგენელს - კობა ყალიჩავას;
1.3. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის წარმომადგენელს - ლევან საბაურს.

მომხრე: 43

წინააღმდეგი: 0

**2**.ცნობად იქნეს მიღებული სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2021 წლის ანგარიში (დანართი 3)

მომხრე: 43

წინააღმდეგი: 0

**3.** დამტკიცდეს სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2021 წლის ანგარიში (დანართი 4)

მომხრე: 43

წინააღმდეგი: 0

**4.** დამტკიცდეს „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი) შრომის ანაზღაურების (თანამდებობრივი სარგო და დანამატი) ოდენობისა და პირობების დადგენის შესახებ" აკადემიური საბჭოს 2013 წლის 4 ოქტომბრის №112/2013 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" აკადემიური საბჭოს 2022 წლის 21მარტის №27/2022 დადგენილება (დანართი 5)

მომხრე: 43

წინააღმდეგი: 0

**5**. გაიცეს თანხმობა, წარმოდგენილი პირობებითა და კანონმდებლობით დადგენილი წესით, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ „წმინდა მიქაელ მთავარანგელოზის სახელობის კლინიკის'' 45%-იანი წილის შეძენაზე და წილის შეძენასთან დაკავშირებით, ფინანსური უზრუნველყოფის მიზნით, "საქართველოს ბანკისგან" სესხის აღებაზე. (დანართი 6)

მომხრე: 41

წინააღმდეგი: 2

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი - ვლადიმერ მარგველაშვილი

წარმომადგენლობითი საბჭოს მდივანი - გიორგი ჩაკვეტაძე

**2022  წლის  25 მარტის დისტანციური სხდომის ფორმატში  (სხდომა №2, ელ.ფოსტის გამოყენებით) მონაწილე წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები:**

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

**პროფესორები:**

აბესაძე ნინო -

კაკულია ნაზირა -

**სტუდენტები:**

ჯაფოშვილი გიორგი -

შვანგირაძე მათე -

სახვაძე ბექა -

ბერაძე თამარი -

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი

**პროფესორები:**

არჩვაძე ნათელა -

მაჭავარიანი ლია -

თავხელიძე ილია -

## იურიდიული ფაკულტეტი

**პროფესორები:**

გარიშვილი მარინე -

## მედიცინის ფაკულტეტი

**პროფესორები:**

მარგველაშვილი ვლადიმერი -

ქიტუაშვილი თინა -

ხოდელი ნოდარი -

## სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

**პროფესორები:**

გოგსაძე გიორგი -

ჭალაგანიძე ნინო -

**სტუდენტები:**

ჩიტაია დაჩი -

გაბაშვილი ალექსანდრე -

ზებერაშვილი ელენე -

## ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი

**პროფესორები:**

ქვანია ირინე -

ჩახუნაშვილი ნინო -

## ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

**პროფესორები:**

ლორია კახაბერი -

ბჟალავა ელისაბედი -

რუსეიშვილი მანანა -

პაიჭაძე თამარი -

ვარდოშვილი ეკა -

თაბუაშვილი აპოლონი -

ბახტაძე მიხეილი -

**სტუდენტები:**

კეჟერაშვილი შოთა -

ხუციშვილი დინა -

## თსუ-ს ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი

გაიპარაშვილი ზურაბი -

**თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი**

ცქიტიშვილი თემური -

**ალექსანდრე თვალჭრელიძის მინერალური ნედლეულის კავკასიის ინსტიტუტი**

ახალბედაშვილი ლალი -

**რაფიელ აგლაძის არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტი**

ხუციშვილი მარინე -

**შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი**

ნემსაძე ადა -

**ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი**

რუხაია მიხეილი -

**ალექსანდრე ჯანელიძის სახელობის გეოლოგიის ინსტიტუტი**

ხუციშვილი სოფიო -

**მაღალი ენერგიების ფიზიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი**

ლომიძე ნოდარი -

**პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი**

კაკულია ეთერი -

**ალექსანდრე ნათიშვილის მორფოლოგიის ინსტიტუტი**

სუმბაძე ციური -

**არნოლდ ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტი**

გვანცელაძე გვანცა -

**მ. ნოდიას სახ. გეოფიზიკის ინსტიტუტი**

მანანა ნიკოლაიშვილი

**თსუ ვახუშტი ბაგრატიონის სახ. გეოგრაფ. ინსტიტუტი**

ჩალაძე თამილა -

**პეტრე მელიქიშვილის ფიზ. და ორგ. ქიმიის ინსტიტუტი**

გურგენიშვილი მარინა -

წარმომადგენლობითი საბჭოს  დისტანციური სხდომის ოქმი №2,  დანართი 2

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს იმ წევრთა სია, რომელთაც დისტანციურად (ელ. საშუალების გამოყენებით) დაადასტურეს კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად გათვალისწინებული საკითხების გაცნობის ფაქტი

წარმომადგენლობითი საბჭოს დისტანციური სხდომის ოქმი  (25.03.2022 წ. №2)

1. აბაშიძე ზურაბ
2. ავაზაშვილი ნიკოლოზ
3. ამირანაშვილი ავთანდილ
4. ანანიშვილი ნათელა
5. გაგნიძე ნონა
6. ზაუტაშვილი მარინე
7. კუხიანიძე ალექსანდრე
8. ლობჟანიძე გია
9. ლომიძე გაგა
10. მაღრაძე ვახტანგ
11. ქურდაძე რამაზ
12. ღვედაშვილი გიორგი
13. ღონღაძე ალექსანდრე
14. ყარალაშვილი თამაზ
15. შანიძე რევაზ
16. შენგელია თემურ
17. ჩიტაშვილი მარინე
18. ცისკარიძე ალექსანდრე
19. წერეთელი მარი
20. ხარაიშვილი ეთერ
21. ხაჩიძე მანანა
22. ხუსკივაძე მამუკა
23. ხუციშვილი ქეთევან

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო

2021 წლის ანგარიში

მომზადებულია „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ო“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ჟ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, რომლის მიხედვით, აკადემიური საბჭო წლიურ ანგარიშს წარუდგენს წარმომადგენლობით საბჭოს.

## შესავალი

2021 წელი კორონავირუსის ეპიდემიის გამო როგორც მთელი ქვეყნისთვის, ასევე მსოფლიოსთვის გამოწვევებით სავსე აღმოჩნდა. მთელი წლის განმავლობაში კორონავირუსით (COVID-19) გათვალისწინებული რეგულაციების გამო აკადემიური საბჭოს სხდომები დისტანციურად, ელექტრონული პორტალის zoom-ის გამოყენებით მიმდინარეობდა.
2021 წელს ჩატარდა აკადემიური საბჭოს 22 სხდომა, 6 წარმომადგენლობითი და აკადემიური საბჭოების ერთობლივი სხდომა, მიღებულ იქნა 120 დადგენილება და წარმომადგენლობითი საბჭოსათვის გაგზავნილ იქნა 14 წარდგინება.
2021 წლის 11 ოქტომბერს გაიმართა აკადემიური საბჭოს წევრთა არჩევნები. აკადემიური საბჭოს შემადგენლობაში 5 ფაკულტეტზე მოხდა წევრთა განახლება და აირჩა ფაკულტეტების წარმომადგენელთაგან აკადემიური საბჭოს 5 ახალი წევრი იურიდიულ, ეკონომიკისა და ბიზნესის, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა, ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა და სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტებზე.

## *შრომის ანაზღაურების ოდენობა და პირობები*

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდეგში – კანონი) 21–ე მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული "საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების" (შემდეგში – წესდება) მე-8 მუხლის „პ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, აკადემიური საბჭო ადგენს აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესს, შრომის ანაზღაურების ოდენობასა და პირობებს და დასამტკიცებლად წარუდგენს წარმომადგენლობით საბჭოს.

„სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი) შრომის ანაზღაურების (თანამდებობრივი სარგო და დანამატი) ოდენობისა და პირობების დადგენის შესახებ“ დადგენილებაში 2021 წლის განმავლობაში ცვლილებები შეტანილ იქნა აკადემიური საბჭოს 2021 წლის 9 თებერვლის №16/2021 და №17/2021, 2021 წლის 24 მაისის №44/2021, 2021 წლის 21 ივნისის №46/2021, 2021 წლის 12 ივლისის №58/2021, 2021 წლის 29 ივლისის №67/2021, 2021 წლის 8 ნოემბრის №102/2021 და 2021 წლის 10 დეკემბრის №113/2021 დადგენილებებით.

*აკადემიური თანამდებობები*

კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ს“ ქვეპუნქტის, წესდების მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ც“ ქვეპუნქტისა და „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2014 წლის 22 დეკემბრის №118/2014 დადგენილების საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ მიიღო 41 დადგენილება <u>პროფესორთა აკადემიურ თანამდებობებზე არჩევისა თუ გათავისუფლების შესახებ:</u>

– “სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე ასოცირებული პროფესორებისა და ასისტენტ-პროფესორების აკადემიურ თანამდებობებზე არჩევის შესახებ“ (დადგენილება №2/2021, 18.01.2021);

– „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე პროფესორებისა და ასოცირებული პროფესორების აკადემიურ თანამდებობებზე არჩევის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2020 წლის 9 ივლისის №64/2020 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ (დადგენილება №11/2021, 25.01.2021);

– „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტზე პროფესორების, ასოცირებული პროფესორებისა და ასისტენტ-პროფესორის აკადემიურ თანამდებობებზე არჩევის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2017 წლის 4 სექტემბრის №99/2017 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ (დადგენილება №12/2021, 09.02.2021);

– „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე პროფესორებისა და ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობებზე არჩევის შესახებ“ (დადგენილება №13/2021, 09.02.2021);

– “სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტზე ასოცირებული პროფესორებისა და ასისტენტ-პროფესორის აკადემიურ თანამდებობებზე არჩევის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2018 წლის 26 თებერვლის №84/2018 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ (დადგენილება №18/2021, 22.02.2021);

– “სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე პროფესორისა და ასოცირებული პროფესორების აკადემიურ თანამდებობებზე არჩევის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2019 წლის 22 ივლისის №86/2019 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ (დადგენილება №19/2021, 22.02.2021);

– „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტზე პროფესორისა და ასისტენტ-პროფესორის აკადემიურ თანამდებობებზე არჩევის შესახებ“ (დადგენილება №20/2021, 22.02.2021);

– „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტზე ასისტენტ-პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის შესახებ“ (დადგენილება №21/2021, 22.02.2021);

– „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ასისტენტ-პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის შესახებ“ (დადგენილება №22/2021, 22.02.2021);

– „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე პროფესორისა და ასისტენტ-პროფესორების აკადემიურ თანამდებობებზე არჩევის შესახებ“ (დადგენილება №23/2021, 22.02.2021);

– „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე ასოცირებული პროფესორებისა და ასისტენტ-პროფესორის აკადემიურ თანამდებობებზე არჩევის შესახებ“ (დადგენილება №26/2021, 05.03.2021);

– „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის შესახებ“ (დადგენილება №27/2021, 05.03.2021);

– „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ასოცირებული პროფესორებისა და ასისტენტ-პროფესორის აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად შესარჩევი საკონკურსო და საკონკურსო-სააპელაციო კომისიების შემადგენლობების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2021 წლის 18 იანვრის №5/2021 დადგენილების პირველი პუნქტით დამტკიცებული საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილების დამტკიცების შესახებ” (დადგენილება №28/2021, 05.03.2021);

– „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე პროფესორებისა და ასოცირებული პროფესორების აკადემიურ თანამდებობებზე არჩევის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2018 წლის 30 ივლისის №185/2018 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ (დადგენილება №47/2021, 21.06.2021);

– “სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე პროფესორების, ასოცირებული პროფესორებისა და ასისტენტ-პროფესორების აკადემიურ თანამდებობებზე არჩევის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2019 წლის 22 ივლისის №87/2019 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ” (დადგენილება №48/2021, 21.06.2021);

– „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე ასოცირებული პროფესორებისა და ასისტენტ-პროფესორის აკადემიურ თანამდებობებზე არჩევის შესახებ“ (დადგენილება №51/2021, 12.07.2021);

– "სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ასისტენტ-პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის შესახებ” (დადგენილება №52/2021, 12.07.2021);

– “სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ასოცირებული პროფესორისა და ასისტენტ-პროფესორების აკადემიურ თანამდებობებზე არჩევის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2019 წლის 6 მაისის №50/2019 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ (დადგენილება №53/2021, 12.07.2021);

– „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის შესახებ” (დადგენილება №62/2021, 29.07.2021);

– „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ასოცირებული პროფესორებისა და ასისტენტ-პროფესორების აკადემიურ თანამდებობებზე არჩევის შესახებ” (დადგენილება №71/2021, 09.09.2021);

– „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე პროფესორის, ასოცირებული პროფესორებისა და ასისტენტ-პროფესორების აკადემიურ თანამდებობებზე არჩევის შესახებ” (დადგენილება №72/2021, 09.09.2021);

– „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე პროფესორის, ასოცირებული პროფესორებისა და ასისტენტ-პროფესორის აკადემიურ თანამდებობებზე არჩევის შესახებ” (დადგენილება №74/2021, 09.09.2021);

– „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტზე ასოცირებული პროფესორისა და ასისტენტ-პროფესორების აკადემიურ თანამდებობებზე არჩევის შესახებ” (დადგენილება №75/2021, 09.09.2021);

– “სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე პროფესორებისა და ასოცირებული პროფესორების აკადემიურ თანამდებობებზე არჩევის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2018 წლის 30 ივლისის №184/2018 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ” (დადგენილება №77/2021, 09.09.2021);

– „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტზე პროფესორების, ასოცირებული პროფესორებისა და ასისტენტ-პროფესორების აკადემიურ თანამდებობებზე არჩევის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2018 წლის 18 ივნისის №157/2018 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ” (დადგენილება №78/2021, 09.09.2021);

– „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე პროფესორისა და ასისტენტ-პროფესორების აკადემიურ თანამდებობებზე არჩევის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2020 წლის 30 ივლისის

№72/2020 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" (დადგენილება №79/2021, 09.09.2021);

– "სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის შესახებ" (დადგენილება №81/2021, 21.09.2021);

– "სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის შესახებ" (დადგენილება №82/2021, 21.09.2021);

– "სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე პროფესორებისა და ასოცირებული პროფესორების აკადემიურ თანამდებობებზე არჩევის შესახებ" აკადემიური საბჭოს 2018 წლის 30 ივლისის №184/2018 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" (დადგენილება №89/2021, 18.10.2021);

– "სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ასისტენტ-პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის შესახებ" (დადგენილება №90/2021, 18.10.2021);

– "სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტზე პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის შესახებ" (დადგენილება №91/2021, 18.10.2021);

– "სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის შესახებ" (დადგენილება №94/2021, 18.10.2021);

– "სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის შესახებ" (დადგენილება №96/2021, 08.11.2021);

– "სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტზე პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის შესახებ" (დადგენილება №97/2021, 08.11.2021);

– „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე პროფესორის, ასოცირებული პროფესორებისა და ასისტენტ-პროფესორების აკადემიურ თანამდებობებზე არჩევის შესახებ" აკადემიური საბჭოს 2020 წლის 11 სექტემბრის №83/2020 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" (დადგენილება №99/2021, 08.11.2021);

– "სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის შესახებ" აკადემიური საბჭოს 2021 წლის 21 სექტემბრის №81/2021 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ" (დადგენილება №100/2021, 08.11.2021);

– “სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის შესახებ“ (დადგენილება №101/2021, 08.11.2021);

– „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ასოცირებული პროფესორების აკადემიურ თანამდებობებზე არჩევის შესახებ“ (დადგენილება №112/2021, 10.12.2021);

– „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტზე პროფესორების აკადემიურ თანამდებობებზე არჩევის შესახებ“ (დადგენილება №115/2021, 22.12.2021);

– „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის შესახებ“ (დადგენილება №117/2021, 22.12.2021);

– „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტზე ასოცირებული პროფესორისა და ასისტენტ-პროფესორის აკადემიურ თანამდებობებზე არჩევის შესახებ“ (დადგენილება №118/2021, 22.12.2021).

**სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსებში 65 წლის ან მეტი ასაკის პირთა მონაწილეობის შესახებ გადაწყვეტილება მიღებულ იქნა შემდეგი დადგენილებებით:**

- “სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში 65 წლის ან მეტი ასაკის პირთა მონაწილეობის შესახებ“ (დადგენილება №1/2021, 18.01.2021);
- “სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში 65 წლის ან მეტი ასაკის პირთა მონაწილეობის შესახებ“ (დადგენილება №3/2021, 18.01.2021);
- „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში 65 წლის ან მეტი ასაკის პირთა მონაწილეობის შესახებ“ (დადგენილება №54/2021, 12.07.2021);
- „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში 65 წლის ან მეტი ასაკის პირთა მონაწილეობის შესახებ“ (დადგენილება №55/2021, 12.07.2021);
- „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად

გამოცხადებულ კონკურსში 65 წლის ან მეტი ასაკის პირთა მონაწილეობის შესახებ“ (დადგენილება №59/2021, 29.07.2021);

- „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტზე აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში 65 წლის ან მეტი ასაკის პირთა მონაწილეობის შესახებ“ (დადგენილება №63/2021, 29.07.2021);
- “სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტზე აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში 65 წლის ან მეტი ასაკის პირთა მონაწილეობის შესახებ” (დადგენილება №88/2021, 18.10.2021);
- „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტზე აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში 65 წლის ან მეტი ასაკის პირთა მონაწილეობის შესახებ“ (დადგენილება №104/2021, 29.11.2021);
- „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტზე აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში 65 წლის ან მეტი ასაკის პირთა მონაწილეობის შესახებ“ (დადგენილება №109/2021, 10.12.2021).

*საკონკურსო და საკონკურსო-სააპელაციო კომისიების შემადგენლობები*

კანონის 21–ე მუხლის პირველი პუნქტის „ს“ ქვეპუნქტის, წესდების მე–8 მუხლის პირველი პუნქტის „ც“ ქვეპუნქტისა და „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2014 წლის 22 დეკემბრის №118/2014 დადგენილების საფუძველზე მიღებულია 24 დადგენილება, რომელიც ეხება საკონკურსო და საკონკურსო-სააპელაციო კომისიების შემადგენლობების დამტკიცებას. ესენია:

– “სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე პროფესორის, ასოცირებული პროფესორებისა და ასისტენტ-პროფესორების აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად შესარჩევი საკონკურსო და საკონკურსო-სააპელაციო კომისიების შემადგენლობების დამტკიცების შესახებ“ (დადგენილება №4/2021, 18.01.2021);
– “სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ასოცირებული პროფესორებისა და ასისტენტ-პროფესორის აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად შესარჩევი საკონკურსო და საკონკურსო-სააპელაციო კომისიების შემადგენლობების დამტკიცების შესახებ” (დადგენილება №5/2021, 18.01.2021);

– “სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ასოცირებული პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად შესარჩევი საკონკურსო და საკონკურსო-სააპელაციო კომისიების შემადგენლობების დამტკიცების შესახებ“ (დადგენილება №6/2021, 18.01.2021);

– “სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე პროფესორებისა და ასოცირებული პროფესორის აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად შესარჩევი საკონკურსო და საკონკურსო-სააპელაციო კომისიების შემადგენლობების დამტკიცების შესახებ“ (დადგენილება №7/2021, 18.01.2021);

– „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტზე პროფესორისა და ასისტენტ-პროფესორის აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად შესარჩევი საკონკურსო და საკონკურსო-სააპელაციო კომისიების შემადგენლობების დამტკიცების შესახებ“ (დადგენილება №9/2021, 25.01.2021);

– „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტზე ასისტენტ-პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად შესარჩევი საკონკურსო და საკონკურსო-სააპელაციო კომისიების შემადგენლობების დამტკიცების შესახებ“ (დადგენილება №10/2021, 25.01.2021);

– „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ასისტენტ-პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად შესარჩევი საკონკურსო და საკონკურსო-სააპელაციო კომისიების შემადგენლობების დამტკიცების შესახებ“ (დადგენილება №40/2021, 24.05.2021);

– „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე ასოცირებული პროფესორებისა და ასისტენტ-პროფესორის აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად შესარჩევი საკონკურსო და საკონკურსო-სააპელაციო კომისიების შემადგენლობების დამტკიცების შესახებ“ (დადგენილება №41/2021, 24.05.2021);

– „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად შესარჩევი საკონკურსო და საკონკურსო-სააპელაციო კომისიების შემადგენლობების დამტკიცების შესახებ“ (დადგენილება №45/2021, 21.06.2021);

– „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე პროფესორის, ასოცირებული პროფესორებისა და ასისტენტ-პროფესორების აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად შესარჩევი საკონკურსო და საკონკურსო-სააპელაციო კომისიების შემადგენლობების დამტკიცების შესახებ“ (დადგენილება №56/2021, 12.07.2021);

– „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ასოცირებული პროფესორებისა და ასისტენტ-პროფესორების აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად შესარჩევი

საკონკურსო და საკონკურსო-სააპელაციო კომისიების შემადგენლობების დამტკიცების შესახებ“ (დადგენილება №57/2021, 12.07.2021);

– „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტზე პროფესორის, ასოცირებული პროფესორისა და ასისტენტ-პროფესორების აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად შესარჩევი საკონკურსო და საკონკურსო-სააპელაციო კომისიების შემადგენლობების დამტკიცების შესახებ“ (დადგენილება №61/2021, 29.07.2021);

– „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე პროფესორის, ასოცირებული პროფესორებისა და ასისტენტ-პროფესორის აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად შესარჩევი საკონკურსო და საკონკურსო-სააპელაციო კომისიების შემადგენლობების დამტკიცების შესახებ“ (დადგენილება №65/2021, 29.07.2021);

– „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ასოცირებული პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად შესარჩევი საკონკურსო და საკონკურსო-სააპელაციო კომისიების შემადგენლობების დამტკიცების შესახებ“ (დადგენილება №66/2021, 29.07.2021);

– „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ასოცირებული პროფესორისა და ასისტენტ-პროფესორის აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად შესარჩევი საკონკურსო და საკონკურსო-სააპელაციო კომისიების შემადგენლობების დამტკიცების შესახებ“ (დადგენილება №73/2021, 09.09.2021);

– „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე ასოცირებული პროფესორების აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად შესარჩევი საკონკურსო და საკონკურსო-სააპელაციო კომისიების შემადგენლობების დამტკიცების შესახებ“ (დადგენილება №76/2021, 09.09.2021);

– “სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ასოცირებული პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად შესარჩევი საკონკურსო და საკონკურსო-სააპელაციო კომისიების შემადგენლობების დამტკიცების შესახებ” (დადგენილება №83/2021, 21.09.2021);

– “სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტზე პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად შესარჩევი საკონკურსო და საკონკურსო-სააპელაციო კომისიების შემადგენლობების დამტკიცების შესახებ“ (დადგენილება №87/2021, 18.10.2021);

– “სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე პროფესორისა და ასოცირებული პროფესორების აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად შესარჩევი საკონკურსო და საკონკურსო-სააპელაციო კომისიების შემადგენლობების დამტკიცების შესახებ“ (დადგენილება №95/2021, 08.11.2021);

– “სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტზე ასოცირებული პროფესორისა და ასისტენტ-პროფესორის აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად შესარჩევი საკონკურსო და საკონკურსო-სააპელაციო კომისიების შემადგენლობების დამტკიცების შესახებ” (დადგენილება №98/2021, 08.11.2021);

– „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტზე პროფესორების აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად შესარჩევი საკონკურსო და საკონკურსო-სააპელაციო კომისიების შემადგენლობების დამტკიცების შესახებ“ (დადგენილება №103/2021, 29.11.2021);

– „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტზე ასოცირებული პროფესორისა და ასისტენტ-პროფესორის აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად შესარჩევი საკონკურსო და საკონკურსო-სააპელაციო კომისიების შემადგენლობების დამტკიცების შესახებ“ (დადგენილება №107/2021, 10.12.2021);

– „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე ასისტენტ-პროფესორების აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად შესარჩევი საკონკურსო და საკონკურსო-სააპელაციო კომისიების შემადგენლობების დამტკიცების შესახებ“ (დადგენილება №108/2021, 10.12.2021);

– „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტზე ასოცირებული პროფესორისა და ასისტენტ-პროფესორის აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად შესარჩევი საკონკურსო და საკონკურსო-სააპელაციო კომისიების შემადგენლობების დამტკიცების შესახებ” (დადგენილება №116/2021, 22.12.2021).

## სასწავლო პროცესი

კანონის 21–ე მუხლის პირველი პუნქტის „ს“ ქვეპუნქტისა და წესდების მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ქ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ მიიღო 2 დადგენილება უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის რეგულირების საკითხზე:

- „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2020 წლის პირველი ოქტომბრის №100/2020 დადგენილებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით“ განსაზღვრულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე წინაპირობიანი მოდულების სწავლის შედეგების დადასტურების წესისაგან განსხვავებული წესის დადგენის შესახებ“ (დადგენილება №33/2021, 19.03.2021);

- “სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ“ (დადგენილება №64/2021, 29.07.2021).

*ანკეტა-კითხვარი*

კანონის 21–ე მუხლის პირველი პუნქტის „ი“ და „ი[1]“ ქვეპუნქტებისა და წესდების მე–8 მუხლის პირველი პუნქტის „ი“, „კ“ და „წ“ ქვეპუნქტების საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ 2021 წლის განმავლობაში მიიღო შემდეგი დადგენილებები:

- „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2021-2022 სასწავლო წლის საერთო სამაგისტრო გამოცდების ანკეტა-კითხვარის დამტკიცების შესახებ“ (დადგენილება №14/2021, 09.02.2021);
- “სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2021-2022 სასწავლო წლის საერთო სამაგისტრო გამოცდების ანკეტა-კითხვარის დამტკიცების შესახებ” აკადემიური საბჭოს 2021 წლის 9 თებერვლის №14/2021 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ (დადგენილება №80/2021, 14.09.2021);
- “სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე 2021 წელს აპლიკანტთა ჩარიცხვის მიზნით სპეციალური ანკეტა-კითხვარის დამტკიცების შესახებ“ (დადგენილება №84/2021, 21.09.2021);
- „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2022 სასწავლო წლის ბაკალავრიატის, მედიცინის/სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი, ოკუპაციური თერაპიის საბაკალავრო და ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამების ანკეტა-კითხვარის დამტკიცების შესახებ“ (დადგენილება №111/2021, 10.12.2021).

*საგანმანათლებლო პროგრამები*

2021 წელს განხორციელდა, როგორც ახალი პროგრამების დამტკიცება, ასევე პროგრამების რეაკრედიტირება და მათში ცვლილებების შეტანა. კანონის 21–ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და წესდების მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ცვლილებები შეტანილ იქნა „საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2011 წლის 29 ივნისის №57/2011 დადგენილებაში შემდეგი დადგენილებებით: №15/2021, №24/2021, №31/2021, №32/2021, №35/2021, №36/2021, №38/2021, №49/2021, №50/2021, №69/2021, №70/2021, №85/2021, №86/2021, №93/2021, №105/2021, 106/2021, 114/2021, 120/2021.

*სტრუქტურული ერთეულები*

კანონის 21–ე მუხლის პირველი პუნქტის „ს“ ქვეპუნქტისა და წესდების მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ღ“ და „თ²“ ქვეპუნქტების საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ მიიღო შემდეგი დადგენილებები:

- „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის დებულების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2016 წლის 30 ნოემბრის №137/2016 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ (დადგენილება №29/2021, 05.03.2021);
- “საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე სამეცნიერო ერთეულის - ცოდნის გადაცემისა და ინოვაციების ცენტრის შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ” აკადემიური საბჭოს 2015 წლის 28 დეკემბრის №135/2015 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ (დადგენილება №34/2021, 29.03.2021);
- “სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის უწყვეტი განათლების ცენტრის დებულების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2013 წლის 4 თებერვლის №10/2013 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ (დადგენილება №60/2021, 29.07.2021);
- „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულის - პროფესიული განათლების ცენტრის შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2019 წლის 7 ივნისის №64/2019 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ (დადგენილება №119/2021, 22.12.2021).

*სხვა სახის დადგენილებები*

აკადემიურმა საბჭომ კანონის 21-ე მუხლითა და წესდების მე-8 მუხლით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში ასევე მიიღო შემდეგი დადგენილებები:

- „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულების დამტკიცების შესახებ“ (დადგენილება №8/2021, 18.01.2021);
- „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „საჯარო მმართველობის“ ინგლისურენოვან სამაგისტრო პროგრამაზე 2020/2021 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში სწავლის გადასახადის განსაზღვრის შესახებ“ (დადგენილება №25/2021, 05.03.2021);
- “სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო პერსონალის სამსახურში მიღების ერთიანი წესისა და სამეცნიერო თანამდებობის დაკავების

დამატებითი პირობების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2017 წლის 31 მაისის №63/2017 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ (დადგენილება №30/2021, 05.03.2021);

- ,,სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიურ თანამდებობაზე 65 წლის ან მეტი ასაკის პირის არჩევის და თანამდებობიდან გათავისუფლების, ემერიტუსის აკადემიური წოდების მინიჭებისა და ანაზღაურების მიცემის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2012 წლის 28 მაისის №36/2012 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ (დადგენილება №37/2021, 26.04.2021);
- „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის „საჯარო მმართველობის“ სამაგისტრო პროგრამაზე 2018 წელს ჩარიცხული სტუდენტებისათვის დამატებით სემესტრში საზღვარგარეთის სტაჟირების სავალდებულო კომპონენტის საფასურის გადახდის ვალდებულებისაგან გათავისუფლების შესახებ“ (დადგენილება №39/2021, 26.04.2021);
- “სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულების დამტკიცების შესახებ” აკადემიური საბჭოს 2019 წლის 17 ივნისის №75/2019 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (დადგენილება №42/2021, 24.05.2021);
- „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოსტდოქტორანტურის (პოსტდოქტორანტად დასაქმების შესახებ) დებულების დამტკიცების შესახებ“ (დადგენილება №43/2021, 24.05.2021);
- “სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულების დამტკიცების შესახებ” აკადემიური საბჭოს 2019 წლის 7 ივნისის №69/2019 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (დადგენილება №68/2021, 29.07.2021);
- „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „საჯარო მმართველობის“ სამაგისტრო პროგრამაზე 2021/2022 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში სწავლის გადასახადის განსაზღვრის შესახებ“ (დადგენილება №92/2021, 18.10.2021);
- „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანის თანამდებობის დაკავებასთან დაკავშირებული საარჩევნო პროცედურების დამტკიცების თაობაზე“ აკადემიური საბჭოს 2013 წლის 28 ოქტომბრის №120/2013 დადგენილებაში ცვლილებისა და დამატების შეტანის შესახებ“ (დადგენილება №110/2021, 10.12.2021).

N 6319/10 21/03/2022

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის

სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს

**წ ა რ დ გ ი ნ ე ბ ა**

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ჟ“ ქვეპუნქტის საფუძველზე წარმოგიდგენთ სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2021 წლის ანგარიშს.

დანართი: 14 გვერდი

გიორგი შარვაშიძე

რექტორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

# ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

# ადმინისტრაციის ხელმძღვანელის

# 2021 წლის ანგარიში

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი

ლაშა საღინაძე

2022

**2021 წელს განხორციელებული მნიშვნელოვანი ღონისძიებები:**

1. **უნივერსიტეტის 2022 წლის ბიუჯეტი მომზადდა, პროგრამული ბიუჯეტის ფორმატით.**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2022 წლის ბიუჯეტი მომზადდა: ,,უმაღლესი განათლების შესახებ’’ საქართველოს კანონის, ,,საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის’’, ,,საქართველოს 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ’’ საქართველოს კანონის პროექტის, ,,საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის’, ’,,პროგრამული ბიუჯეტის ფორმატით შედგენის მეთოდოლოგიის,’’ უნივერსიტეტის წესდების, ,,უნივერსიტეტის ბიუჯეტის შედგენის წესის’’ და სხვა ნორმატიული აქტების საფუძველზე. ბიუჯეტში გათვალისწინებულია სტრატეგიული განვითარების გეგმის ამოცანებისა და მიზნების განხორციელებიდან გამომდინარე: უნივერსიტეტის 2022 წლის პრიორიტეტული მიმართულებების, სასწავლო-სამეცნიერო პროცესის შეუფერხებელი მიმდინარეობის, საინფორმაციო ტექნოლოგიური განახლებების, სტრუქტურული ერთეულების ფუნქციონირების აუცილებელი ხარჯების და სტუდენტთა სამეცნიერო-კვლევით, კულტურულ-სპორტულ აქტივობებში ჩართულობის ფინანსური მხარდაჭერის უზრუნველყოფა.

როგორც აღინიშნა, უნივერსიტეტის ბიუჯეტი მომზადდა, პროგრამული ბიუჯეტის ფორმატით, რაც საშუალებას იძლევა ბიუჯეტი წარმოვაჩინოთ გასატარებელი ძირითადი პროგრამების და მათი შედეგების თვალსაზრისით და არა მხოლოდ ორგანიზაციულ ჭრილში. პროგრამული ბიუჯეტის ძირითადი უპირატესობა ტრადიციული ორგანიზაციული სტრუქტურის მქონე ბიუჯეტთან შედარებით იმაში მდგომარეობს, რომ იგი საშუალებას იძლევა დაგეგმვის პროცესიდანვე, ბიუჯეტი ორიენტირებული იყოს შედეგებზე და ამასთან იყოს ძალიან გამჭვირვალე და მარტივად აღქმადი. უნივერსიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლები: მოსალოდნელი ნაშთიდან, ეკონომიკური საქმიანობით მისაღები შემოსავლებიდან, სახელმწიფო ბიუჯეტიდან, შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდიდან და საერთაშორისო გრანტებიდან განისაზღვრა 112 051 797 ლარით.

აღსანიშნავია, ის სიახლეები რაც 2021 წლის ბიუჯეტში იყო ასახული, მათ შორის უნივერსიტეტის პრიორიტეტულ მიმართულებად, მიუხედავად ბიუჯეტის შეზღუდული შესაძლებლობებისა, განისაზღვრა: აკადემიური პერსონალის სამეცნიერო კვლევების, ასევე, დოქტორანტებისა და პოსტდოქტორანტების სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა, რისთვისაც ბიუჯეტში გათვალისწინებული

იყო შესაბამისად 150 000, 100 000, 100 000 ლარი. პანდემიური პროცესის შედეგად ყველასთვის ნათელია, რომ უნივერსიტეტის სტუდენტთა და მათი ოჯახების გარკვეულ ნაწილს შეუმცირდა შემოსავალი, შესაბამისად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება და 2021 წლიდან 100 000 ლარით გაიზარდა წარჩინებულ სტუდენტთა სწავლის დაფინანსების მოცულობა და ჯამში 700 000 ლართ განისაზღვრა. გრძელდება თანამშრომელთა ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო დეკრეტული შვებულების ანაზღაურების პროგრამა და ამ კატეგორიის თანამშრომლებმა 2021 წელს თანხა მიიღეს ხელფასის (უნივერსიტეტისთვის უპრეცენდენტო) ექვსმაგი ოდენობით.

2022 წლის ბიუჯეტით განისაზღვრული მნიშვნელოვანი სიახლეები:

უნივერსიტეტის მიერ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება და 2022 წელს ბიუჯეტში გამოიყოფა სახსრები (სახსრები მოზიდული იქნება ასევე დონორი ორგანიზაციებიდან) სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის (LMS) შეცვლის მიზნით.

წინა წელთან შედარებით, აკადემიური და მოწვეული პერსონალის შრომის ანაზღაურება გაზრდილია 3 მლნ ლარზე მეტით (ზრდა განხორციელდა ძირითადად ყველა ფაკულტეტზე, განსაკუთრებული ზრდა შეეხო მედიცინის ფაკულტეტის მოწვეულ პერსონალს).

2022 წელს ,,სტუდენტთა ხელშეწყობის პროგრამას“ დაემატა ახალი მოდული - სტარტაპების ხელშეწყობა 50 000 ლარის დაფინანსებით.

გარდა ამისა, ბიუჯეტში გაიწერა განათლების ხარისხის განვითარების პროგრამა, რომელიც განათლების ხარისხის განვითარებასთან ერთად მოიცავს სახელმძღვანელოების თარგმნის ხელშეწყობასაც. აღნიშნულთან დაკავშირებით ბიუჯეტში გათვალისწინებულია 620 000 ლარი.

ზემოაღნიშნულის განხორციელების შესაძლებლობა, შემოსავლების ზრდასთან ერთად განაპირობა: მივლინების, წარმომადგენლობითი, საკანცელარიო საქონლის შეძენის, ოფისის ხარჯების შემცირებამ. აღსანიშნავია, რომ ბიუჯეტში მაქსიმალურადაა გათვალისწინებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფისა და ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსების ხარჯები, რაც შესაბამისი თანხების უზრუნველყოფითაა ასახული ბიუჯეტში.

## 2. დეკრეტული შვებულების ანაზღაურება

უნივერსიტეტმა მიიღო ძალზედ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება თანამშრომელთა ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო დეკრეტული შვებულების ანაზღაურების დაწყების შესახებ და ამ კატეგორიის თანამშრომლებზე 2021 წელს დეკრეტული შვებულების ანაზღაურება განხორციელდა ხელფასის ექვსმაგი ოდენობით. აღნიშნული ანაზღაურებით ისარგებლა 22 მა თანამშრომელმა

## 3. ინფრასტრუქტურის განვითარება

სრულდება უნივერსიტეტის მეორე სასწავლო კორპუსის მასშტაბური/სრული სარეაბილიტაციო სამუშაოები, რომელზეც ჯამში დაიხარჯა 27 მლნ ლარამდე;

სამუშაოების დასრულება ნავარუდევია მიმდინარე წლის გაზაფხულის ბოლომდე;



**ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2021 წელს შესრულებული სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოები**



**NAT 210004750.** თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მე-10 (მაღლივი) სასწავლო კორპუსის სპორტული ფლიგელის სარემონტო-სარებილიტაციო საამუშაოები.
გადახდილი თანხა: 176 772.87 ლარი.

**NAT 210005951.** თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ცენტრალური ბიბლიოთეკის, მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტისა და დაცვის დეპარტამენტის სარემონტო სარეაბილიტაციო სამუშაოები.
გადახდილი თანხა: 520 732.61 ლარი.

**NAT 210011611.** თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის, ლისის ტბის საერთო საცხოვრებლის, მე-11(ბიოლოგების) სასწავლო კორპუსის, უწყვეტი განათლების ცენტრის, ცოდნის გადაცემის და ინოვაციების ცენტრის და ცენტრალური ბიბლიოთეკის საგამოცდო ცენტრის სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოები.
გადახდილი თანხა: 219 467.21 ლარი.

**NAT 210019126.** თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მე-10 (მაღლივი) სასწავლო კორპუსის, მაღლივი კორპუსის მინაშენის, ცენტრალური ბიბლიოთეკის და უწყვეტი განათლების ცენტრის შენობების გადახურვის სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოები.
გადახდილი თანხა: 55 579.99 ლარი.

**NAT 210017926.** თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პეტრე მელიქიშვილის სახელობის ფიზიკური და ორგანული ქიმიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის, ალექსანდრე ჯანელიძის გეოლოგიის ინსტიტუტის, ილია ვეკუას გამოყენებითი

მათემატიკის ინსტიტუტის, ელეფთერ ანდრონიკაშვილის ფიზიკის ინსტიტუტის სმარტლაბის სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოები.
გადახდილი თანხა: 143 940.34 ლარი.

**NAT 210019215.** თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რაფიელ აგლაძის არაორგანული ქიმიის და ელექტროქიმიის ინსტიტუტის და შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოები.
გადახდილი თანხა: 48 999.00 ლარი.

**NAT 210020048.** თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაღალი ენერგიების ფიზიკის ინსტიტუტის, პირველი სასწავლო კორპუსის აუდიტორიების და კაბინეტების იატაკის და მე-7 სასწავლო კორპუსთან მდებარე სტადიონის შემოღობვის და გასახდელების სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოები.
გადახდილი თანხა: 62 948.82 ლარი.

**ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მიმდინარე სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოები**



**NAT 210021965** თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის ალექსანდრე ნათიშვილის მორფოლოგიის ინსტიტუტის ვივარიუმისა და გერენტოლოგიის შენობების რეაბილიტაცია ინსტიტუტების სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოები.

ხელშეკრულების ღირებულება 3 521 000.00 ლარი.

**NAT 210023309** თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ალექსანდრე ჯანელიძის გეოლოგიის, ელეფთერ ანდრონიკაშვილის ფიზიკის, ილია ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის, ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის და ეთნოლოგიის ინსტიტუტების სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოები.
ხელშეკრულების ღირებულება 214 307.38 ლარი.

**NAT 210023312** თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიხეილ ნოდიას გეოფიზიკის ინსტიტუტის, შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის, ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოები.
ხელშეკრულების ღირებულება 199 998.13 ლარი.

**ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2022 წელს დაგეგმილი საპროექტო/სარეაბილიტაციო სამუშაოები**

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეათე სასწავლო კორპუსის (ე.წ. მაღლივი) მეორე სართულის სრული სარეაბილიტაციო სამუშაოები;

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეთერთმეტე სასწავლო კორპუსის (ე.წ. ბიოლოგები) კიბის და ფასადის სარეაბილიტაციო სამუშაოები;

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის მეექვსე სათულის სარეაბილიტაციო სამუშაოები;

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში საგამოცდო ცენტრის ოთახების და გარდირობის სარეაბილიტაციო სამუშაოები;

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მერვე სასწავლო კორპუსის ფოიეს სარეაბილიტაციო სამუშაოები;

პროფესიული განათლების ცენტრისთვის ახალი შენობის ასაშენებლად საჭირო საპროექტო სამუშაოები, რომლის დასრულების შემდგომ დაიწყება შესაბამისი პროცედურები სამშენებლო სამუშაოების ჩატარების მიზნით;

თსუ პ. გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის ახალი შენობის ასაშენებლად საჭირო საპროექტო სამუშაოები, რომლის დასრულების შემდგომ დაიწყება შესაბამისი პროცედურები სამშენებლო სამუშაოების ჩატარების მიზნით;

უნივერსიტეტის გამომცემლობისთვის და სტამბისთვის საჭირო ახალი ინფრასტრუქტურის სარეაბილიტაციო სამუშაოები;

**უნივერსიტეტის სასწავლო კორპუსებში მოეწყო სტუდენტური სივრცეები, კერძოდ სივრცეები მოეწყო შემდეგ კორპუსებში:**



უნივერსიტეტის მეორე სასწავლო კორპუსში;

უნივერსიტეტის მესამე სასწავლო კორპუსში;

უნივერსიტეტის მეხუთე სასწავლო კორპუსში;

უნივერსიტეტის მეექვსე სასწავლო კორპუსში;

უნივერსიტეტის მერვე სასწავლო კორპუსში (სამეცნიერო სივრცე სტუდენტებისთვის);

უნივერსიტეტის ტურიზმის სკოლის კორპუსში;

უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის კორპუსში;

უნივერსიტეტის მეათე (ე.წ. მაღლივი) სასწავლო კორპუსში;

უნივერსიტეტის მეთერთმეტე (ე.წ. ბიოლოგები) სასწავლო კორპუსში;

**დამატებით სტუდენტური სივრცეები მოეწყობა:**

უნივერსიტეტის პირველ სასწავლო კორპუსში;

უნივერსიტეტის მეშვიდე სასწავლო კორპუსში;

უნივერსიტეტის მერვე სასწავლო კორპუსში;

უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში;

2021 წელს, განხორციელდა უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული **9 940 კგ.** მაკულატურისა და **83 460 კგ.** ჯართის რელიზება, ხოლო **500 კგ.** მაკულატურა და **15 814 კგ.** ჯართი განსაკარგავად გადაეცა სახელმწიფოს.

## 4. სტუდენტთა ხელშეწყობა

საუნივერსიტეტო დაფინანსებით დაფინანსდა 821 სტუდენტი, პროგრამის ბიუჯეტმა შეადგინა 700 000 ლარი;

პანდემიური პროცესის შედეგად ყველასთვის ნათელია, რომ უნივერსიტეტის სტუდენტთა და მათი ოჯახების გარკვეულ ნაწილს შეუმცირდა შემოსავალი, შესაბამისად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება და 2021 წლიდან 100 000 ლარით გაიზარდა წარჩინებულ სტუდენტთა სწავლის დაფინანსების მოცულობა და ჯამში 700 000 ლართ განისაზღვრა;

პანდემიური პროცესების მიუხედავად დაფინანსდა და შესაბამისი ადმინისტრირება გაეწია 76 ზე მეტ სტუდენტურ პროექტს;

აღნიშნული პროექტების ბიუჯეტმა 2021 წლისათვის 312 157 ლარი შეადგინა;

2020 წელს საქართველოში COVID 19-ით გამოწვეული სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტურ საერთო საცხოვრებელში მცხოვრები სტუდენტებისთვის სპეციალური საშეღავათო პირობები ამოქმედდა და გაგრძელდა 2021 წელსაც, კერძოდ:

სოციალურად დაუცველი (70 ათასამდე სარეიტინგო ქულით) და საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები სტუდენტი - 0 ლარი.

სტუდენტი, რომელმაც COVID 19 - ის გამო დაკარგა სამსახური ან/და არის უხელფასო შვებულებაში და მთავრობისგან იღებს შესაბამის დახმარებას - 0 ლარი.

ოჯახიდან 2 ან მეტი სტუდენტი, ან სოციალურად დაუცველი (70 ათასზე მეტი სარეიტინგო ქულით) - 50% - იანი შეღავათი.

ყველა დანარჩენი სტუდენტი - 30% - იანი შეღავათი.

## 5. სამეცნიერო-კვლევების და ინოვაციის ხელშეწყობა

2021 წლის განმავლობაში თსუ-ში ხორციელდებოდა 200-ზე მეტი (მათ შორის 19 საერთაშორისო) სამეცნიერო პროექტი შემდეგი დონორი ორგანიზაციების დაფინანსებით: შრსესფ, EC (H2020, Erasmus+), US (Embassy, NIH, The East-West Management Institute, USAID, UNDP, UNICEF, US Department of State), United Kingdom Research and Innovation/Global Challenges Research Fund - UKRI/GCRF; Austrian Development Agency, BMBF … და სხვა

თსუ დაფინანსებული პროექტების რაოდენობით ტრადიციულად ლიდერობდა სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გამოცხადებულ კონკურსებში. 2021 წლის კონკურსების შედეგების მიხედვით თსუ-ს წამყვანობით დაფინანსდა 148 პროექტი. მაგალითად, ფუნდამენტური კვლევებისთვის საგრანტო კონკურსის ფარგლებში თსუ-მ მოიპოვა 49 პროექტი, რაც წილობრივად გამარჯვებული პროექტების მიმართ წარმოადგენს 40%, დოქტორანტურის კონკურსში 35 პროექტი - 41%.

ევროკომისიის ონლაინ პლატფორმის ,,დაფინანსების და ტენდერების პორტალი“ (Funding and Tenders Portal) მონაცემებით ევროკომისიის ჩარჩო პროგრამების დაფინსებით 2021 წელს თსუ ჩაერთო 6 ახალ პროექტში (4 EPLUS, 1 Horizon2020-MSCA-RISE და 1 Horizon2020-RIA), ხოლო 4 პროექტი თსუ-ს მონაწილეობით წარდგენილია HORIZON-EUROPE სხვადსხვა კონკურსში. აღსანიშნავია, რომ ამ 4 წარდგენილი პროექტიდან 3-ში თსუ კოორდინატორია.

თსუ-ის ავტორობით მაღალრეიტინგულ ჟურნალებში გამოქვეყნდა 492 სტატია (2022 წლის 11 მარტის მონაცემებით).

თსუ სამეცნიერო-კვლევითი პოტენციალის და ხილვადობის გაზრდის მიზნით თსუ სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების და იურიდიული დეპარტამენტების ინიცირებით თსუ-ში ამოქმედდა აკადემიური პერსონალის და დოქტორანტთა სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობის მექანიზმები (რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ერთობლივი ბრძანებები 12/04 და 13/04, 19.05.2021).

დეპარტამენტის თანამშრომლებს მიღებული აქვთ მონაწილეობა შემდეგ ვებინარებსა/სამუშაო შეხვედრებში/ტრენინგებში: ვებინარი „Horizon Europe საგრანტო კონკურსებისათვის წარმატებული განაცხადის მომზადების შესახებ“; ონლაინ ფორმატის საერთაშორისო საინფორმაციო დღე “მეცნიერებისა და ტექნოლოგიის სფეროში ევროპული ასოციაცია COST“; ვებინარი "A successful proposal for Horizon Europe: Scientific-technical excellence is key, but don’t forget the other aspects"; ევროკომისიის NI4OS-Europe პროექტის ფარგლებში საქართველოს სამეცნიერო-საგანმანათლებლო კომპიუტერული ქსელების ასოციაცია „გრენა”-ს მიერ გამართული ღონისძიება ღია მეცნიერებასთან დაკავშირებული საკითხების გაზიარების მიზნით; საკონსულტაციო შეხვედრა FR-21 ფუნდამენტური

კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსთან დაკავშირებით; HERD პროექტის ტრენინგი; „Horizon Europe Info Day Georgia"; „European Research and Innovation Days 2021"; „Horizon Europe Proposal Writing Camp Georgia"; „Technology Transfer in the EU's Eastern and Southern neighbourhood"; მეორე საერთაშორისო კონფერენცია „ქალები მეცნიერებაში"; ევროკომისიის ჩარჩო პროგრამის ჰორიზონტი ევროპის საინფორმაციო დღე Horizon Europe Coordinator meeting (მაია ოკუჯავა); ERASMUS+ საგრანტო კონკურსის საინფორმაციო ღონისძიება; ტრენინგი „ევროკავშირის კვლევისა და ინოვაციების ჩარჩო პროგრამა, „ჰორიზონტი ევროპა"-ს პრაქტიკული ასპექტების შესახებ"; „ღია მეცნიერების" განვითარების ხელშეწყობის პროგრამის" პირველი საინფორმაციო შეხვედრა; „ღია მეცნიერების" განვითარების ხელშეწყობის პროგრამის" მეორე საინფორმაციო შეხვედრა.

დეპარტამენტის ორგანიზებით და უშუალო ჩართულობით ჩატარდა საერთაშორისო სემინარი/ვორქშოპი: "პირდაპირი და შებრუნებული ამოცანები ელექტრომაგნიტურ და აკუსტიკურ ტალღურ თეორიაში" (DIRECT AND INVERSE PROBLEMS OF ELECTROMAGNETIC AND ACOUSTIC WAVE THEORY - DIPED), რომლის მასალებიც ინდექსირებულია როგორც SCOPUS-ში, ასევე Web of Science-ში.

პერმანენტულად მიმდინარეობდა უნივერსიტეტში არსებული სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების სამეცნიერო საქმიანობის ხელშეწყობა/მონიტორინგი. განახლდა და პერმანენტულად ტარდებოდა კონსულტაციები მინიმალურ სავალდებულო სამეცნიერო-კვლევით დატვირთვასთან დაკავშირებით. ასევე, დეპარტამენტის უშუალო ჩართულობით და ხელშეწყობით ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების მიზნით ხორციელდებოდა კონკრეტული ღონისძიებების გატარება სსიპ ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტოსთან თანამშრომლობით.

მომზადდა და თსუ-ის ვებზე განთავსდა 2 ანგარიში: თსუ წლიური სამეცნიერო ანგარიში და თსუ სამეცნიერო აქტივობა 2021 წელს".

## 6. საზოგადოებასთან ურთიერთობა

- 2021 წელს თსუ-ში განხორციელდა მნიშვნელოვანი პროექტები, ჩატარდა როგორც საუნივერსიტეტო სივრცეში ასევე ონლაინ პლატფორმების გამოყენებით არაერთი ღონისძიება, რაც აქტიურად გაშუქდა მედიასაშუალებებით. გარდა ამისა მომზადდა საგაზეთო სტატიები, ასევე ტელე-რადიო სიუჟეტები და გადაცემები. მედია მონიტორინგის მონაცემებით,

თვეში საშუალოდ 250-300 საინფორმაციო მასალა ვრცელდებოდა მედიაში (წელიწადში 3500-ზე მეტი).

• 2021 წელს გაზაფხულზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფბ-კამპანია #უნივერსიტეტელი განხორციელდა. თსუ სტუდენტები, კურსდამთავრებულები, სხვადასხვა სფეროს წარმატებული ადამიანები ვიდეო-პროფაილებში საკუთარი წარმატების, პროფესიული არჩევნის შესახებ უზიარებდნენ გამოცდილებას აუდიტორიას.

• 2021 წლის მარტის თვეში განხორციელდა ფბ-კამპანია #მეცნიერქალთათვე, რომლის ფარგლებშიც მზადდებოდა სტატიები თსუ ქალი მეცნიერების შესახებ

• 2021 წლის შემოდგომაზე კი სოცმედიაში წარმოდგენილი იყო კამპანია #თსუმეცნიერება, რომლის ფარგლებშიც შოთა რუსთაველის სახელობის ეროვნული სამეცნიერო ფონდის კონკურსში გამარჯვებული თსუ მკვლევრების შესახებ მზადდებოდა სტატიები

• 2021 წლის განმავლობაში განხორციელებული კამპანიის შედეგად თსუ Facebook-ის გამომწერების და მეგობრების რაოდენობა საშუალოდ 20 000-ით გაიზარდა 185 ათასს გადააჭარბა. გაიზარდა გამომწერების რაოდენობა Instagram-ზე.

• 2021 წელს დეპარტამენტის ხელშეწყობით გაიმართა კონფერენციები, სემინარები, საჯარო ლექციები, ღონისძიებები და კონკურსები, გაფორმდა მემორანდუმები, წლის განმავლობაში 200-მდე ღონისძიება გაიმართა. გარდა ამისა, მეცნიერებისა და ინოვაციების ფესტივალის ფარგლებში, პროექტისთვის „საქართველოს მეცნიერთა მატიანე" მომზადდა გამორჩეულ მეცნიერებზე 14 მიკრო-ფილმი.

• 2021 წელს განახლდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ონლაინ მაღაზია, სადაც ახალი და მრავალფეროვანი ბრენდირებული პროდუქციის შეძენაა შესაძლებელი.

• თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის 2021 წლის 3400-მდე კურსდამთავრებულისთვის გამოშვების საზეიმო ღონისძიება ჰიბრიდულ ფორმატში გაიმართა. საზეიმო ონლაინ ღონისძიება სხვადასხვა საინტერესო დეტალისგან შედგებოდა: თსუ პირველ, მეორე და მეათე (მაღლივ) კორპუსებში, აგრეთვე, ფილარმონიის წინ რეალური ფოტოზონები მოეწყო, სადაც სტუდენტები სამახსოვრო ფოტოებს იღებდნენ. ღონისძიების დასრულების შემდეგ თსუ კურსდამთავრებულებს ვებგვერდიდან gifme.ge სამახსოვრო ვირტუალური დიპლომების გადმოწერისა და საკუთარ სოციალურ პლატფორმაზე გაზიარების შესაძლებლობა ქონდათ. ღონისძიებას წინ უძღოდა მედია-კამპანია, მომზადდა საინფორმაციო პოსტები, ბანერები, ვიდეო-კლიპები, რომლებიც სოცმედიაში და სტუდენტურ პლატფორმაზე LMS.TSU.GE-ზე თავსდებოდა.

- მომზადდა პირველსემესტრელთათვის საინფორმაციო ანიმაციური კლიპი https://www.facebook.com/TbilisiStateUniversity/videos/526778638623363
- ღია კარის დღე აბიტურიენტებისთვის ჰიბრიდულ რეჟიმში ჩატარდა. ონლაინ ტრანსლაცია 21 ათასმა ფბ მომხმარებელმა ნახა.
- მომზადდა ონლაინ გზამკვლევი აბიტურიენტებისთვის.
- სტუდენტური ლიტერატურული კონკურსის „ლიტჰაიკერი“, რომლის პარტნიორი ბაკურ სულაკაურის გამომცემლობაა, 2021 წელს მე-6 სეზონი დისტანციურ რეჟიმში გაიმართა. სტუდენტებმა კონკურსისთვის 10 ქართველი ავტორის ბესტსელერები წაიკითხეს.
- მე-13 სტუდენტური ლიტერატურული კონკურსი "შემოდგომის ლეგენდა" ახალ პარტნიორთან „აჭარა ჯგუფთან“ ერთად ბაკურიანში გაიმართა. ფინალისტების ნაწარმოებები გამოიცა კრებულის სახით. კონკურსი ნაწილობრივ ონლაინ-რეჟიმში გაიმართა.
- შემოქმედებითი პრაქტიკული კურსი "წერის არქიტექტურა" ასევე ონლაინ რეჟიმში ჩატარდა. მასტერ-კლასს თანამედროვე ქართველი მწერლები და ლიტერატურის სფეროს წარმომადგენლები - დავით გაბუნია, ანნა კორძაია - სამადაშვილი და ზაალ ჩხეიძე უძღვებოდნენ.
- თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საუნივერსიტეტო გამოცემების გამოფენა გაიხსნა, რომელზეც ბოლო 5 წლის განმავლობაში თსუ პროფესორების, მეცნიერების, მკვლევრების მიერ საქართველოსა და უცხოეთში გამოცემული წიგნები იყო წარმოდგენილი. დაანონსდა რომ ეს ფესტივალი ყოველ წელს გაიმართება და სხვა უსდ-ები და კვლევითი ორგანიზაციები იქნებიან მოწვეული.

თსუ პუბლიცისტიკისა და ელექტრონული მედია ცენტრის/გაზეთი ,,თბილისის უნივერსიტეტის“ რედაქცია წლის განმავლობაში გაზეთის სტატიების მომზადებასა და მათ ონლაინ გავრცელებას უზრუნველყოფდა უნივერსიტეტის ვებ-გვერდის, სოციალური ქსელებისა და ელექტრონული ფოსტის საშუალებით.

სულ:

- ვებგვერდისთვის მომზადდა და გავრცელდა: 240 სტატია/ინტერვიუ/ჩანახატი;
- სოციალურ ქსელში (ჩვენს ფეისბუქგვერდზე - https://www.facebook.com/Newspaper.tsu/?ref=pages_you_manage) გავრცელდა და სპეციალურად სოციალური გვერდისთვის მომზადდა 440 სიახლე (კვირაში თითქმის 10 ინფორმაცია), რომელსაც 12600-მდე მოწონება, 44880 ჩართულობა, 2520-მდე

კომენტარი აქვს. (მონაცემები დათვლილია ჩემს პირად ფეისბუქ-გვერდსა და გაზეთის ფეისბუქ-გვერდზე).

1) მომზადდა 2 კრებული: 1. ,,რისმაგ გორდეზიანი - 80“ და 2. ,,საჯარო ლექციების კრებული - 2021“, რომელშიც შესულია 15 საჯარო ლექცია.
2) პროექტ ,,უნი-ვერსიას“ ფარგლებში და თსუ მულტიმედია ცენტრის ბაზაზე მომზადდა და 15 რეგიონულ ტელევიზიაში ყოველკვირეულად ვრცელდებოდა:

   16 დოკუმენტური ფილმი (რამაზ ქურდაძის ახალი წელი, აკაკი აბუთიძის ახალი წელი, თსუ სტუდენტების საახალწლო დადგმა, ენათმეცნიერების ინსტიტუტი - 80, თსუ-ს ამიტომ ირჩევენ - ნინა ზიგერთან შეხვედრა, ლევან ალექსიძე - ლეგენდები არ კვდებიან, ნანა სუმბაძე - მეგობრობის მკვლევარი, ბიბლიოთეკარი, გურამ დოჩანაშვილთან ექსკლუზიური ინტერვიუ, თსუ ენათმეცნიერების ინსტიტუტის მთავარი ხიბლი, თსუ ლიტერატურის ინსტიტუტის მთავარი ხიბლი, გიორგი ოთხმეზურის ბოლო სიტყვა, თსუ ისტორიის ინსტიტუტის მთავარი სიახლეები, პაატა იმნაძის საახალწლო პროგნოზი, ლევან გიგინეიშვილის მეორედ დაბადება, თსუ ეკონომიკის ინსტიტუტის მთავარი სიახლეები).

   18 გადაცემა (თამარ გაგოშიძის ფსიქოლოგიური კონსულტაციები, საუნივერსიტეტო საახალწლო ამბები, თსუ ამბების ქრონიკა (4 გადაცემა), თსუ ამბები - რატომ დავკარგეთ აგარაკი აჭარაში, თსუ - გამოშვება 2021, თსუ არქეოლოგიის ინსტიტუტის ექსპედიცია კვიპროსში, ხელოვნური ინტელექტი სტომატოლოგიაში, ახალი კორონავირუსი და თსუ - წიგნის პრეზენტაცია, ღია კარის დღე თსუ-ში, 14 აპრილი - სიტყვა და საქმე; თსუ ქრონიკა (2 გადაცემა), 8 მარტი - ქალები უნივერსიტეტიდან, თსუ - 103 - წლის სიახლეები, ნინო ოკრიბელაშვილის აქცენტები სტიგმაზე);

   11 საჯარო ლექცია (2 ლექცია - რამაზ ქურდაძე, დიმიტრი შველიძე, ქეთევან ხუციშვილი, კახა გაბუნია, ნაირა ბეპიევი, ნინო პოპიაშვილი, თეა ბურჭულაძე, გიორგი გოგოლაშვილი, რისმაგ გორდეზიანი, ტატა ვეფხვაძე);

   სულ: 45 (ფილმი, გადაცემა, საჯარო ლექცია).
3) პროექტის - ,,თოვლის ბაბუას გზავნილი“ - ფარგლებში მომზადდა თოვლის ბაბუას როლის შემსრულებლის ვაჟა ციცილოშვილის 34 პერსონალური ვიდეო-მიმართვა უნივერსიტეტის თანამშრომელთა შვილებისთვის და 1 საერთო მიმართვა, რომლებიც თანამშრომლებს დაეგზავნათ მეილზე.
4) გაიმართა წიგნის - ,,თსუ და ახალი კორონავირუსი“ მასშტაბური პრეზენტაცია;
5) მოწვეულ იქნა 14 სტაჟიორი თსუ სტუდენტი და სტაჟირების კურსის ფარგლებში ლექცია - ,,ჟურნალისტიკა და პრაქტიკა“ დღემდე მიმდინარეობს. ლექციის პარალელურად ჩვენი ცენტრის ვიდეო-გადაღებებში/მონტაჟში სტუდენტების მონაწილეობას და მათ პრაქტიკულ ჩართულობას ვაწარმოებდით, რისი დაგვირგვინებაც იყო სტუდიური საახალწლო გადაღება 14 სტუდენტის მონაწილეობით.

## 7. საგამომცემლო საქმიანობა

თსუ გამომცემლობაში 2021 წლის განმავლობაში განხორციელდა რიგი აქტიობები, კერძოდ:

1. აღდგა **„პირველი სხივის“** გამოცემა
2. გამოიცა კოლინ რენფიუ, პოლ ბანი – **არქეოლოგია** - სამეცნიერო რედაქტორი ვახტანგ ლიჩელი
3. გამოიცა მიხაკო წერეთლის **ზაფხულის მოკლე ღამე** - (ძველაღმოსავლური ლოცვები და ჰიმნები) **შაგალის** ილუსტრაციებით
4. გამოიცა დიმიტრი შველიძე - **აი, ვინ იყო, ქართველნო, ვარლამ ჩერქეზიშვილი**
5. გამოიცა **თანამედროვე ინგლისური ენის გრამატიკის კურსი** ორ წიგნად – I და II ტომი
6. გამოიცა მანფრედ შტედე – **„კორპუსზე დამყარებული ტექსტის ანალიზი“.**
7. გამოიცა ვენდი დანი და გრეის კრაიგი – **„ადამინის განვითარება“** -
8. გამოიცა ერენბერგისა და სმიდტის **„თანამედროვე შრომის ეკონომიკა“**
9. გამოიცა ოქსფორდის გამომცემლობის **„საგარეო პოლიტიკა“** (სმიტის, ჰადფილდისა და დანის რედაქციით)
10. გამოიცა **სექსუალური შევიწროებისა და სიძულვილის ენის აკრძალვის კონცეფცია -ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობა და საუნივერსიტეტო პოლიტიკა**
11. გამოიცა **პირველი ქართული კონსტიტუცია 100**
12. გამოიცა გიორგი გოგოლაშვილის სერია **„ენა და მწერალი“** - გამოცემულია შვიდი წიგნი
13. გამოიცა **ევროპელი სოციალისტების ვიზიტი საქართველოში I და II ტომი**
14. გამოიცა Мераб Чухуа – **Грузинско-Черкесско-Абхазский Этимологический Словарь**
15. გამოიცა დარეჯან მენაბდე - **ქართული ჰაგიოგრაფია**
16. გამოიცა გალაკტიონ ტაბიძის პოეზიის რეცეფცია ქართულ ლიტერატურისმცოდნეობაში - ქრესტომათია II წიგნი **„რას იტყვის ჩემზე შთამომავლობა“**

**იბეჭდება**

1. ირაკლი იმედაძე - **თანამედროვე ფსიქოლოგია**
2. **ზოგადი და კერძო პათანატომია** - სამი წიგნი
3. მიხაკო წერეთლის **ურარტოლოგიური ძიებანი**

რედაქტირების პროცესშია:

1. აკაკი შანიძის **ქართული ენის გრამატიკა**
2. აკაკი შანიძის **თხზულებათა მე-6 ტომი**
3. ლილი ხეჩუაშვილის **პიროვნების ფსიქოლოგია**
4. გიორგი ოთხმეზურის **ორტომეული**

## 8. საბიბლიოთეკო საქმიანობა

აღირიცხა და დამუშავდა 5295 დასახელების 7124 საბიბლიოთეკო ერთეული;

ელექტრონულ კატალოგში განთავსდა 11052 საბიბლიოთეკო ერთეული და შეიქმნა 7013 ახალი ჩანაწერი;

დასკანერდა 1266 საბიბლიოთეკო დოკუმენტი (360246 გვერდი). დასკანერდა და დამუშავდა ფოტოფირების 753 კადრი;

2021 წელს თსუ საბიბლითეკო ფონდის გასამდიდრებლად გამოყოფილი იყო 180 000 ლარი, აქედან ათვისებულ იქნა 177 689,80 ლარი. შეძენილ იქნა 1450 დასახელების 2458 ერთეული წიგნი. ბიბლიოთეკას საჩუქრად გადმოეცა ავტორებისაგან 419 დასახელების 737 წიგნი;

ელექტრონული საგნობრივი კატალოგისთვის დამუშავდა 6 ფაკულტეტის 1302 სილაბუსის 2966 ერთეული ლიტერატურა და აიტვირთა საიტზე. შემოწმდა 495 სილაბუსის 1261 ერთეული ძირითადი ლიტერატურა;

2021 წელს სამკითხველო დარბაზებში განხორციელდა 5010 ვიზიტი;

2021 წელს ჩატარდა 6 გამოფენა, ვიდეო პროექტების ფარგლებში ჩაიწერა 17 რესპოდენტი; ჩატარდა ესეების 2 კონკურსი, მომზადდა და თსუ საიტზე აიტვირთა 241 უნივერსიტეტელი ავტორის ბიოგრაფია; მომზადდა და გადაეცა გამომცემლობას დასაბეჭდად ტრისტან მახაურის კოლექციის აღწერილობა;

დაიბეჭდა ოთხენოვანი წიგნი ,,ევროპელი სოციალისტების ვიზიტი საქართველოში'' (ორი ტომი ), „აკაკი ჩხენკელის დღიურები: წიგნი პირველი“ და „თსუ მედიაქრონიკა: 1918-1921“; ჩატარდა სტუდენტური კონფერენცია ,,100 წელი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაციიდან''.

რესტავრაცია ჩაუტარდა 378 დოკუმენტს (4180 ფურცელი) მათ შორის, 1709 წლის ვახტანგისეული სახარების 23 ეგზემპლარს.

## 9. საგარეო ურთიერთობები

უცხოურ უმაღლეს საგანმანათლებლო/კვლევით დაწესებულებებთან თანამშრომლობის ხელშეკრულების გაფორმება/განახლება:

უცხოურ უმაღლეს საგანმანათლებლო და კვლევით დაწესებულებებთან ინსტიტუციური პარტნიორობის განვითარების, არსებული პარტნიორთა ქსელის გაფართოებისა და თანამშრომლობის სფეროების გამრავალფეროვნების მიზნით, დეპარტამენტმა უზრუნველყო ახალი პარტნიორი უნივერსიტეტებისა და ორგანიზაციების მოძიება. სხვადასხვა უცხოურ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან აქტიური მიმოწერისა და მოლაპარაკებების საფუძველზე განისაზღვრა ორმხრივი დაინტერესების სფეროები და საბოლოო ჯამში გაფორმდა/განახლდა თანამშრომლობის 15 ხელშეკრულება/მემორანდუმი.

საერთაშორისო საგანმანათლებლო ქსელებში უნივერსიტეტის გაწევრიანება:

სხვადასხვა საგანმანათლებო საერთაშორისო ქსელებში უნივერსიტეტის გაწევრიანების მიზნით მომზადდა განაცხადები და 2021 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი სრული წევრის სტატუსით გაწევრიანდა ორ უმსხვილეს საერთაშორისო ორგანიზაციაში:

- კომპოსტელას უნივერსიტეტების ჯგუფი (GCU);
- ევრაზიის უნივერსიტეტების კავშირი (EURAS);
- UNICA

საერთაშორისო პროექტების მართვა და მის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობების განხორციელება

წლის განმავლობაში დეპარტამენტმა ადმინისტრირება გაუწია ერაზმუს + საერთაშორისო კრედიტ მობილობის 160 პროგრამას და ამასთანავე, ნორვეგიის მთავრობის საგანმანათლებლო ფონდ DIKU-ს მიერ დაფინანსებულ საერთაშორისო პროექტს, ოსლოს მეტროპოლიტან უნივერსიტეტთან თანამშრომლობით.

გაცვლითი პროგრამების ფარგლებში თსუ-ს სტუდენტებისა და პერსონალის შესარჩევი კონკურსების ორგანიზება:

დეპარტამენტმა უზრუნველყო თსუ-ს სტუდენტებისა და პერსონალის შესარჩევი 41 კონკურსის ჩატარება, ერაზმუს პლიუსის საერთაშორისო კრედიტ-მობილობის პროგრამებისა და პარტნიორ უნივერსიტეტებთან გაფორმებული

თანამშრომლობის ხელშეკრულებების ფარგლებში გამოყოფილი სტიპენდიების მისანიჭებლად. კონკურსების შედეგად სტიპენდია მოიპოვა 185-მა სტუდენტმა და 34 პერსონალმა.

უცხოელი სტუდენტების თსუ-ში მობილობის კოორდინირება

დეპარტამენტმა კოორდინირება გაუწია 68 უცხოელი სტუდენტის და 18 აკადემიური/ადმინისტრაციული პერსონალის თსუ-ში მობილობას და უზრუნველყო მათი ინტეგრირება პროფილურ ფაკულტეტებზე, კერძოდ: სასწავლო ხელშეკრულებების მომზადება, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენა, საორიენტაციო დღეების და ტრენინგების ორგანიზება, დაბინავების ხელშეწყობა.

გრძელვადიანი უცხოელი [native speaker] ლექტორების ჩამოყვანა თსუ-ში

დეპარტამენტმა კოორდინირება გაუწია გრძელვადიანად 7 უცხოელი პედაგოგის ჩამოყვანას თსუ-ში (ესპანური, ბასკური, გერმანული, იტალიური, ჩეხური, უნგრული ენების პედაგოგები ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე და ფრანგი ლექტორი ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე) აკადემიური საქმიანობის მიზნით და მათ ინტეგრირებას პროფილურ ფაკულტეტებზე.

საზღვარგარეთ განსახორციელებელი საქმიანი ვიზიტების კოორდინირება

დეპარტამენტმა ორგანიზება გაუწია თსუ-ის რექტორისა და ადმინისტრაციული პერსონალის 14 საქმიანი ვიზიტის განხორციელებას საზღვარგარეთ.

უცხოელი სტუმრების მიღება თსუ-ში

წლის განმავლობაში დეპარტამენტმა ორგანიზება გაუწია 47 უცხოელი სტუმრის საქმიან ვიზიტს თსუ-ში, რაც მიზნად ისახავდა სამომავლო თანამშრომლობის პერსპექტივების განხილვას.

## 10. საინფორმაციო ტექნოლოგიები

სასწალო პროცესის ონლიან რეჟიმში წარმართვისთვის კვლავი იქნა შეძენელი ონლაინ შეხვედრების zoom -ის პლატფორმის 500 ერთეული ლიცენზია;

უნივერსიტეტის მიერ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება და 2022 წელს ბიუჯეტში გამოიყოფა სახსრები (სახსრები მოზიდული იქნება ასევე დონორი ორგანიზაციებიდან) სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის (LMS) შეცვლის მიზნით.

სტუდენტური პროექტების წარდგენისა და შეფასების პროცესის გამარტივების და სრულყოფის მიზნით იქმნება ელექტრონული პლატფორმა, რომლის მეშვეობითაც პროცესი სრულად ელექტრონულად წარიმართება;

## 11. უწყვეტი განათლება

2021 წლის განმავლობაში ცენტრის მიერ განხორციელდა უწყვეტი განათლების (სასერტიფიკატო და ტრენინგი) 41 კურსი. ამასთანავე მუშაობდა აბიტურიენტთა მოსამზადებელი 32 ჯგუფი და საერთო სამაგისტრო გამოცდებისათვის მოსამზადებელი 8 ჯგუფი.

2021 წლის განმავლობაში ცენტრს დაემატა 10 ახალი კურსი.

პანდემიის გამო შექმნილი ვითარებისა და რეგულაციების გათვალისწინებით 2021 წლის განმავლობაში უწყვეტი განათლების ცენტრის კურსების სრული უმრავლესობა ჩატარდა ონლაინ Zoom-ის პლატფორმის გამოყენებით, რაც ერთგვარად ახალ შესაძლებლობადაც იქცა მსმენელთა მოზიდვის თვალსაზრისით, რამდენადაც კურსებში მონაწილეობის საშუალება მისცა საქართველოს რეგიონებსა და საქართველოს გარეთ მცხოვრები მსურველებსაც. ვფიქრობთ, რეგულაციები შემსუბუქების შემდეგაც უნდა დავტოვოთ უწყვეტი განათლების კურსების ნაწილის ონლაინ ჩატარების პრაქტიკა.

2021 წლის მიწურულს დაიწყო პროგრამა თსუ ადმინისტრაციის პერსონალისათვის, რომლის ფარგლებშიც შემუშავდა 5 ახალი სასერტიფიკატო და ტრენინგ კურსი. 2021 წელს ამ სერიიდან უკვე განხორციელდა ტრენინგი გენდერული თანასწორობისა და დისკრიმინაციის აკრძალვის შესახებ. ამ და სხვა კურსებში მონაწილეობის შესაძლებლობა თსუ-ის ადმინისტრაციულ და აკადემიური პერსონალს მომავალშიც ექნება სპეციალური ფასდაკლებით.

უწყვეტი განათლების ცენტრი გეგმავს, 2022 წლიდან დაიწყოს საუნივერსიტეტო უწყვეტი განათლებისა და ზრდასრულთა განათლების საკითხების შესახებ ყოველწლიური კონფერენციის ჩატარების პრაქტიკა.

## 12. კულტურა და სპორტი

2021 წელი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კულტურისა და სპორტის დეპარტამენტისათვის რთული აღმოჩნდა. კორონავირუსული პანდემიით გამოწვეული შეზღუდვების გამო

მკვეთრად შეფერხდა დეპარტამენტის საქმიანობა. დაგეგმილი ღონისძიებების აბსოლუტური უმრავლესობა ჩაიშალა, რადგან ყველა აქტივობა ცალსახად იყო ორიენტირებული უნივერსიტეტის სტუდენტებზე, რომელთაც, თავის მხრივ შეეზღუდათ სააუდიტორიო მეცადინეობები.

დეპარტამენტი იძულებული გახდა გაეუქმებინა რამდენიმე მასშტაბური ღონისძიება, რომელზეც დასწრების შესაძლებლობა ექნებოდა ათასობით სტუდენტს. პანდემიით გამოწვეული მკაცრი შეზღუდვების გამო, შეჩერდა უნივერსიტეტის სტუდენტური სპორტული გუნდების სავარჯიშო სესიები და ჩემპიონატები.

მიუხედავად პანდემიისა, აღსანიშნავია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფუტსალის კლუბის „ფ.კ. თსუ-ს" წარმატება საქართველოს ფუტსალის უმაღლეს ლიგაში. კლუბმა დაიკავა მეორე ადგილი .

რაც შეეხება, უნივერსიტეტის საკალათბურთო კლუბ „ს.კ. თსუ-ს" მოგახსენებთ, რომ კალათბურთის ფედერაციის მიერ ორგანიზებული საქართველოს საკალათბურთო სუპერლიგის 2021 წლის სეზონში ითამაშა მეოთხედ ფინალში.

2021 წელი ასევე რთული აღმოჩნდა, კულტურის სფეროსთვისაც. თუმცა, პანდემიის და ეპიდ-ვითარების მიუხედავად, მაინც გარკვეული ქმედებები ხორციელდებოდა, რა თქმა უნდა, არსებული რეგულაციების დაცვით. თსუ-ს კაპელა, ორჯერ იყო მიწვეული ტელევიზიაში. კერძოდ, რუსთავი 2- ის გადაცემებში: „დილა უქმეებზე" და "დილა მშვიდობისა საქართველო", გარდა ამისა, თსუ-ს ვაჟთა ვოკალური ანსამბლი, მიწვეული იყო ტელეკომპანია იმედის ეთერში.

## 13. სამუზეუმო საქმიანობა

თსუ მუზეუმის მუშაობა, როგორც ნებისმიერი სხვა დაწესებულებისა, შეაფერხა საყოველთაო პანდემიამ. მიუხედავად ამისა მუზეუმი აგრძელებდა ახლადშემოსული ექსპონატების სათანადო წესით აღრიცხვას და ასევე, მართალია შეზღუდულად, მაგრამ მაინც მოამზადა რამდენიმე დროებითი გამოფენა და ვიზიტორებსაც მასპინძლობდა.

განსაკუთრებით გამორჩეული იყო არქეოლოგიის მუზეუმის ახალ დარბაზში გადასვლა, სადაც მოეწყო განახლებული და ყველა არქეოლოგიური ეპოქის მომცველი მუდმივმოქმედი ექსპოზიცია. გამოფენილი კოლექცია იმდენად მნიშვნელოვანია, რომ შესაძლებელია ნებისმიერი სტუმარს წარვუდგინოთ და უძველესი ქართული კულტურა გავაცნოთ.

## *14.* 2021 წელს პანდემიური პროცესების გათვალისწინებით, განხორციელებული აქტიობები/ღონისძიებები:

თსუ ყველა სასწავლო კორპუსისა და ინსტიტუტების შესასვლელებში მოწყობილი იყო დეზობარიერები; შეძენილ და განთავსებულ იქნა თერმო სკრინინგისათვის საჭირო ინვენტარი და ხელის სადეზინფექციო საშუალებები; ასევე შეძენილი იქნა ახლად წარმოქმნილი მოთხოვნების შესაბამისი სანიტარულ -ჰიგიენური საშუალებები; დაიბეჭდა და განსაზღვრულ ადგილებზე განთავსდა, პანდემიური ვითარებიდან გამომდინარე სპეციალური ინფორმაციის შემცველი სტიკერები და პოსტერები; ,ყველა სასწავლო კორპუსში გამოიყო და შესაბამისი ინვენტარით აღიჭურვა საიზოლაციო ოთახები; სასწავლო აუდიტორიებში, ეპიდსაწინააღმდეგო მოთხოვნების შესაბამისად, სტიკერებით გამოიყო დისტანცირებული ადგილები. მოთხოვნების შესაბამისად აღიჭურვა ხელის სადეზინფექციო საშუალებებითა და დახურული ნაგვის ურნებით; .

ამასთან საჭიროების შემთხვევაში ტარდებოდა დერეფნების, სველი წერტილების, სამუშაო ოთახებისა და სასწავლო აუდიტორიების დეზინფიცირება ყველა არსებული ნორმის შესაბამისად; .სასწავლო კორპუსების ადმინისტრატორებისა და მომსახურე პერსონალის მართვა და კოორდინაცია ხორციელდებოდა ეპიდ საწინააღმდეგო მოთხოვნების გათვალისწინებით.

პერიოდულად უნივერსიტეტის პერსონალს ვაწვდიდით შესაბამის ინფორმაციას სიახლეების, ახალი რეგულაციების თუ რეკომენდაციების შესახებ;

უნივერსიტეტის პერსონალი ძირითადად მუშაობდა დისტანციურ რეჟიმში;

N 6190/10 21/03/2022

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

აკადემიურ საბჭოს

წარმოგიდგენთ სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2021 წლის ანგარიშს.

დანართი: ,,21'' გვერდი

პატივისცემით,

ლაშა საღინაძე

ლაშა საღინაძე



ადმინისტრაციის ხელმძღვანელი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო

# დადგენილება

№ 27/2022 21 მარტი 2022წ.

## „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი) შრომის ანაზღაურების (თანამდებობრივი სარგო და დანამატი) ოდენობისა და პირობების დადგენის შესახებ" აკადემიური საბჭოს 2013 წლის 4 ოქტომბრის №112/2013 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილების, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, 55-ე მუხლის, 56-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 57-ე მუხლისა და 63-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების" მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2014 წლის 14 ივლისის №73/2014 დადგენილებით დამტკიცებული აკადემიური საბჭოს რეგლამენტის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „რ" ქვეპუნქტის, თსუ-ს მედიცინის ფაკულტეტის 2022 წლის 18 მარტის №6041/32 წერილისა და უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2022 წლის 21 მარტის №4 სხდომის ოქმის საფუძველზე,

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. შევიდეს ცვლილება „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი) შრომის ანაზღაურების (თანამდებობრივი სარგო და დანამატი) ოდენობისა და პირობების დადგენის შესახებ" აკადემიური საბჭოს 2013 წლის 4 ოქტომბრის №112/2013 დადგენილებაში და პირველი პუნქტით დამტკიცებული დანართი №1 ჩამოყალიბდეს ახალი, წინამდებარე დადგენილებაზე თანდართული სახით (დანართი №1).

2. დადგენილების ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე განთავსება დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას.

3. აღნიშნული გადაწყვეტილება დასამტკიცებლად წარედგინოს სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს.

4. წინამდებარე დადგენილება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64).
5. დადგენილება ძალაში შედის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

გიორგი შარვაშიძე
რექტორი
აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე

დანართი №1

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის **მედიცინის ფაკულტეტის** აკადემიური პერსონალის თანამდებობრივი სარგო

1. **„ბ“ კატეგორიის აკადემიური პერსონალის თანამდებობრივი სარგო -**

ა) პროფესორი - თვეში 1660 ლარი;

ბ) ასოცირებული პროფესორი - თვეში 1390 ლარი;

გ) ასისტენტ-პროფესორი - თვეში 1130 ლარი.

2. პირველი პუნქტით გათვალისწინებული თანამდებობრივი სარგოს მიღების საფუძველს წარმოადგენს ქვემოთმოცემული სავალდებულო პედაგოგიური დატვირთვის და მინიმალური სავალდებულო სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის - სამეცნიერო-კვლევითი დატვირთვის შესრულება:

ა) სავალდებულო პედაგოგიური დატვირთვა - **პროფესორი**სათვის კვირაში არანაკლებ 4 საათი, **ასოცირებული პროფესორი**სათვის კვირაში არანაკლებ 6 საათი, **ასისტენტ-პროფესორი**სათვის კვირაში არანაკლებ 8 საათი;

ბ) მინიმალური სავალდებულო სამეცნიერო-კვლევითი დატვირთვა, რომელიც შეიძლება დაგროვებული იქნას შემდეგი კომპონენტებისაგან აკადემიური თანამდებობების მიხედვით:

**ბ.ა) პროფესორი**:

კომპონენტი 1. ყოველ 5 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 2.1 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია, ან ყოველ 2 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 1.1 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია - **100 ქულა**;

კომპონენტი 2. ყოველ 2 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 1.2 ან 3.1 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია, ან ყოველ 5 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 2.2 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია - **60-80 ქულა**;

კომპონენტი 3. ყოველ 2 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 1.3 ან 1.4 ან 3.2 პუნქტებით გათვალისწინებული რომელიმე 1 პუბლიკაცია - **50 ქულა**;

კომპონენტი 4. ყოველ 5 წელიწადში ერთხელ მონაწილეობდეს საგრანტო პროექტში ხელმძღვანელის/მენეჯერის/კოორდინატორის ან ძირითადი პერსონალის სახით (საგრანტო პროექტებში იგულისხმება ინდივიდუალური სამეცნიერო გრანტებიც, ასევე სამეცნიერო

ინფრასტრუქტურული გრანტები ან სხვა) ან ყოველ წელს სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საგრანტო კონკურსში მისი ხელმძღვანელობით/მენეჯერობით ან ძირითად პერსონალად მონაწილეობით წარდგენილ საგრანტო პროექტს მიღებული უნდა ჰქონდეს არანაკლებ მაქსიმალური შეფასების 80% (ამ შემთხვევაში იგულისხმება საგრანტო პროექტები ფუნდამენტური კვლევებისათვის, გამოყენებითი კვლევებისათვის, უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეთა მონაწილეობით ერთობლივი კვლევებისათვის და სხვა) – **50 ქულა**;

კომპონენტი 5. ყოველ 2 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 4.1 ან 4.2 პუნქტებით გათვალისწინებული რომელიმე 1 პუბლიკაცია - **40 ქულა**;

კომპონენტი 6. ყოველ 3 წელიწადში ერთხელ მომხსენებლის სტატუსით მონაწილეობდეს სამეცნიერო კონფერენციაში, რომლის მასალებიც ინდექსირებულია Google Scholar-ში - **30 ქულა**;

კომპონენტი 7. ყოველ 2 წელიწადში ერთხელ გამოქვეყნებული პუბლიკაცია ქართულ ენაზე ქართულენოვან სამეცნიერო ჟურნალში - **25 ქულა**;

კომპონენტი 8. ყოველ 2 წელიწადში ერთხელ გამოქვეყნებული პუბლიკაცია ქართულ ენაზე ქართულენოვან სამეცნიერო-პოპულარულ ჟურნალში - **20 ქულა**.

**ბ.ბ) ასოცირებული პროფესორი**:

კომპონენტი 1. ყოველ 5 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 2.1 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია, ან ყოველ 3 წელიწადში გამოქვეყნებული დანართის 1.1 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია - **100 ქულა**;

კომპონენტი 2. ყოველ 3 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 1.2 ან 3.1 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია, ან ყოველ 5 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 2.2 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია - **60-80 ქულა**;

კომპონენტი 3. ყოველ 3 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 1.3 ან 1.4 ან 3.2 პუნქტებით გათვალისწინებული რომელიმე 1 პუბლიკაცია - **50 ქულა**;

კომპონენტი 4. ყოველ 5 წელიწადში ერთხელ მონაწილეობდეს საგრანტო პროექტში ხელმძღვანელის/მენეჯერის/კოორდინატორის ან ძირითადი პერსონალის სახით (საგრანტო პროექტებში იგულისხმება ინდივიდუალური გრანტებიც, ასევე სამეცნიერო ინფრასტრუქტურული გრანტები ან სხვა) ან ყოველ წელს სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საგრანტო კონკურსში მისი ხელმძღვანელობით/მენეჯერობით ან ძირითად პერსონალად მონაწილეობით წარდგენილ საგრანტო პროექტს მიღებული უნდა ჰქონდეს არანაკლებ მაქსიმალური შეფასების 80% (ამ შემთხვევაში იგულისხმება საგრანტო პროექტები ფუნდამენტური კვლევებისათვის, გამოყენებითი კვლევებისათვის, უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეთა მონაწილეობით ერთობლივი კვლევებისათვის და სხვა) - **50 ქულა**;

კომპონენტი 5. ყოველ 3 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 4.1 ან 4.2 პუნქტებით გათვალისწინებული რომელიმე 1 პუბლიკაცია - **40 ქულა**;

კომპონენტი 6. ყოველ 3 წელიწადში ერთხელ მომხსენებლის სტატუსით მონაწილეობდეს სამეცნიერო კონფერენციაში, რომლის მასალებიც ინდექსირებულია Google Scholar-ში - **30 ქულა**;

კომპონენტი 7. ყოველ 2 წელიწადში ერთხელ გამოქვეყნებული პუბლიკაცია ქართულ ენაზე ქართულენოვან სამეცნიერო ჟურნალში - **25 ქულა**;

კომპონენტი 8. ყოველ 2 წელიწადში ერთხელ გამოქვეყნებული პუბლიკაცია ქართულ ენაზე ქართულენოვან სამეცნიერო-პოპულარულ ჟურნალში - **20 ქულა**.

ზ.გ) ასისტენტ-პროფესორი:

კომპონენტი 1. ყოველ 6 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 2.1 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია, ან ყოველ 4 წელიწადში გამოქვეყნებული დანართის 1.1 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია - **100 ქულა**;

კომპონენტი 2. ყოველ 4 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 1.2 ან 3.1 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია, ან ყოველ 6 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 2.2 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია - **60-80 ქულა**;

კომპონენტი 3. ყოველ 4 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 1.3 ან 1.4 ან 3.2 პუნქტებით გათვალისწინებული რომელიმე 1 პუბლიკაცია - **50 ქულა**;

კომპონენტი 4. ყოველ 6 წელიწადში ერთხელ მაინც მონაწილეობდეს საგრანტო პროექტში ძირითადი პერსონალის სახით (საგრანტო პროექტებში იგულისხმება ინდივიდუალური გრანტებიც, ასევე სამეცნიერო ინფრასტრუქტურული გრანტები ან სხვა) ან ყოველ წელს სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საგრანტო კონკურსში მისი ხელმძღვანელობით/მენეჯერობით ან ძირითად პერსონალად მონაწილეობით წარდგენილ საგრანტო პროექტს მიღებული უნდა ჰქონდეს არანაკლებ მაქსიმალური შეფასების 80% (ამ შემთხვევაში იგულისხმება საგრანტო პროექტები ფუნდამენტური კვლევებისათვის, გამოყენებითი კვლევებისათვის, უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეთა მონაწილეობით ერთობლივი კვლევებისათვის და სხვა) - **50 ქულა**;

კომპონენტი 5. ყოველ 4 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 4.1 ან 4.2 პუნქტებით გათვალისწინებული რომელიმე 1 პუბლიკაცია - **40 ქულა**;

კომპონენტი 6. ყოველ 4 წელიწადში ერთხელ მაინც მომხსენებლის სტატუსით მონაწილეობდეს სამეცნიერო კონფერენციაში, რომლის მასალებიც ინდექსირებულია Google Scholar-ში - **30 ქულა**;

კომპონენტი 7. ყოველ 3 წელიწადში ერთხელ გამოქვეყნებული პუბლიკაცია ქართულ ენაზე ქართულენოვან სამეცნიერო ჟურნალში - **25 ქულა**;

კომპონენტი 8. ყოველ 3 წელიწადში ერთხელ გამოქვეყნებული პუბლიკაცია ქართულ ენაზე ქართულენოვან სამეცნიერო-პოპულარულ ჟურნალში - **20 ქულა**.

3. **,,ა" კატეგორიის აკადემიური პერსონალის თანამდებობრივი სარგო -**

ა) პროფესორი - თვეში 1820 ლარი;

ბ) ასოცირებული პროფესორი - თვეში 1530 ლარი;

გ) ასისტენტ-პროფესორი - თვეში 1250 ლარი.

4. მე-3 პუნქტით გათვალისწინებული თანამდებობრივი სარგოს მიღების საფუძველს წარმოადგენს ქვემოთმოცემული სავალდებულო პედაგოგიური დატვირთვის და მინიმალური სავალდებულო სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის - სამეცნიერო-კვლევითი დატვირთვის შესრულება:

ა) სავალდებულო პედაგოგიური დატვირთვა - **პროფესორი**სათვის კვირაში არანაკლებ 6 საათი, **ასოცირებული პროფესორი**სათვის კვირაში არანაკლებ 8 საათი, **ასისტენტ-პროფესორი**სათვის კვირაში არანაკლებ 10 საათი;

ბ) მინიმალური სავალდებულო სამეცნიერო-კვლევითი დატვირთვა, რომელიც განისაზღვრება ფაკულტეტის საბჭოს მიერ და არ უნდა იყოს პროფესორის ამ დანართის მე-2 პუნქტის ,,ბ.ა" ქვეპუნქტით განსაზღვრულ დატვირთვაზე ნაკლები, ასოცირებული პროფესორისთვის ამ დანართის მე-2 პუნქტის ,,ბ.ბ" ქვეპუნქტით განსაზღვრულ დატვირთვაზე ნაკლები, ასისტენტ-პროფესორისთვის ამ დანართის მე-2 პუნქტის ,,ბ.გ" ქვეპუნქტით განსაზღვრულ დატვირთვაზე ნაკლები.

N 6562/10 23/03/2022

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის

სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს

**წ ა რ დ გ ი ნ ე ბ ა**

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „პ“ ქვეპუნქტის საფუძველზე დასამტკიცებლად წარმოგიდგენთ „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი) შრომის ანაზღაურების (თანამდებობრივი სარგო და დანამატი) ოდენობისა და პირობების დადგენის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2013 წლის 4 ოქტომბრის №112/2013 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე” აკადემიური საბჭოს 2022 წლის 21 მარტის №27/2022 დადგენილებას.

დანართი: 6 გვერდი

გიორგი შარვაშიძე

რექტორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ადმინისტრაციის ხელმძღვანელი

N 6344/10 21/03/2022

**თსუ წარმომადგენლობით საბჭოს**

პატივცემულო საბჭოს წევრებო,

თსუ-ის მედიცინის ფაკულტეტის საბჭომ 2021 წლის 3 ნოემბრის N12 სხდომის გადაწყვეტილებით თსუ ადმინისტრაციას მიმართა თხოვნით, რათა უნივერსიტეტს ფაკულტეტის საჭიროებისათვის შეეძინა მრავალპროფილური, მრავალსაწოლიანი კლინიკა, რომელიც დააკმაყოფილებდა საუნივერსიტეტო მოთხოვნებს და ამასთანავე, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს სტანდარტებს - სახელმწიფო პროგრამაში მონაწილე საუნივერსიტეტო კლინიკებისათვის.

უნივერსიტეტის საკუთრებაში ასეთი კლინიკის არსებობა, ერთი მხრივ, მკვეთრად გააუმჯობესებს თსუ-ის მედიცინის ფაკულტეტის კლინიკური კათედრების მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას და შესაბამისად, ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-პედაგოგიური და კლინიკური საქმიანობის და სტუდენტთა, რეზიდენტთა და დოქტორანტთა მომზადების დონეს. მეორე მხრივ, ასეთი ტიპის კლინიკა მაღალი დონის სამედიცინო მომსახურებას გაუწევს თსუ-ის თანამშრომლებს და მათი ოჯახის წევრებს, ასევე სტუდენტებს.

ამჟამად, მოგეხსენებათ, რომ უნივერსიტეტს დადებული აქვს ხელშეკრულება სხვადასხვა, კერძო საკუთრებაში არსებულ კლინიკასთან, სადაც ჩვენი სტუდენტების დაშვება გარკვეულად ლიმიტირებულია, რაც პრობლემას ქმნის მათთვის სამედიცინო მანიპულაციებზე დასწრება-მონაწილეობის, მორიგეობის და შესაბამისად, პრაქტიკული უნარ-ჩვევების ათვისების საქმეში. ამის გარდა, აკადემიური თანამშრომლების არჩევა მთლიანად დამოკიდებულია ამ კერძო კლინიკების შემოთავაზებებზე, რადგანაც უნივერსიტეტს არ შეუძლია შესაბამისი კონკურსის გამოცხადება საკუთარ კლინიკურ ბაზაზე.

უცხოელ სტუდენტთა ყველა ახალი ნაკადი, თსუ-ის მედიცინის ფაკულტეტზე სწავლისათვის განაცხადის შემოტანისას კითხულობს, რამდენად უზრუნველყოფილნი იქნებიან კლინიკური ბაზით. იმ ფონზე, რომ უკანასკნელი 4 წლის მანძილზე უცხოელ სტუდენტთათვის მოხდა სწავლების საფასურის პერმანენტული გაზრდა (4 000 $-ის ექვივალენტიდან 8 000 $-ის ექვივალენტამდე),

1. Ilia Tchavtchavadze Ave., 0179 Tbilisi, Georgia
http://www.tsu.edu.ge
+(995 32) 222 35 01 Tel/Fax
chancellery@tsu.ge; E-mail

დასმული კითხვა სულ უფრო ლეგიტიმური ხდება, ხოლო მასზე გასაცემი დადებითი პასუხის სარწმუნოება - ასამაღლებელი.

ასევე, გაცნობებთ, რომ სამედიცინო პროფილის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემდგომი აკრედიტაცია უშუალოდ იქნება დაკავშირებული უმაღლესი სასწავლებლის მიერ საკუთარი კლინიკის ქონასთან.

მედიცინის ფაკულტეტის ზემოაღნიშნული მოთხოვნის საფუძველზე, თსუ ადმინისტრაციამ ჩაატარა ბაზრის კვლევა და მოლაპარაკებათა მთელი სერია სხვადასხვა კლინიკის ხელმძღვანელებთან. ბაზრის კვლევის შედეგად, გამოვლინდა შპს ,,წმინდა მიქაელ მთავარანგელოზის სახელობის მრავალპროფილიანი კლინიკური საავადმყოფო'' (მისამართი: ქ. თბილისი, ლუბლიანას ქ. 21), რომელმაც გამოაგზავნა შემოთავაზება და დააკმაყოფილა შესაბამისი მოთხოვნები. აღნიშნული კლინიკა არის მრავალპროფილური, გაშლილი 200 საწოლზე, მოიცავს ამბულატორიული და სტაციონარული პაციენტებისთვის შესაბამის სივრცეებს, სრულყოფილად აღჭურვილია თანამედროვე დიაგნოსტიკური აპარატურით, აქვს აუდიტორია, ყველა კლინიკური მიმართულების განყოფილებაში არის სასწავლო პროცესისთვის აუცილებელი სივრცე. აღნიშნული კლინიკა სრულიად აკმაყოფილებს საუნივერსიტეტო კლინიკისადმი ფაკულტეტის მიერ წაყენებულ მოთხოვნებს, ამასთანავე, კარგად ეწერება მედიცინის ფაკულტეტის განახლებული ინფრასტრუქტურის კომპლექსში.

კლინიკის დამფუძნებლებთან და ხელმძღვანელებთან მოლაპარაკებების და სახელმწიფო ორგანიზაციების მიერ კლინიკების მენეჯმენტის არსებული ნორმატივების გაანალიზების შედეგად, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული, რომ შეძენილ იქნას კლინიკის 45%-იანი წილი, შემდეგი პირობებით:

- კლინიკის მენეჯმენტში უნივერსიტეტი წარმოდგენილი იქნება პრიორიტეტულად;
- კლინიკის ბაზაზე განთავსდება ფაკულტეტის კლინიკური კათედრების ნაწილი;
- კლინიკა მოემსახურება მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტებს, რეზიდენტებს და დოქტორანტებს.

თსუ-ის ადმინისტრაციამ განცხადებით მიმართა სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს, რათა შეეფასებინა „წმინდა მიქაელ მთავარანგელოზის სახელობის კლინიკის'' 45%-იანი წილი. განცხადების საფუძველზე, ბიუროს მიერ განხორციელდა კანონით დადგენილი ქმედებები და აღნიშნული წილი შეფასდა 8,9 მლნ ლარად. (დასკვნა თან ერთვის).

აღნიშნული თანხის სესხად აღებისათვის ჩატარდა მოლაპარაკება „სს. საქართველოს ბანკთან“. მოლაპარაკების შედეგად მიღწეულია შეთანხმება, რომ ბანკის მიერ მოხდება სესხის გაცემა თსუ მედიცინის ფაკულტეტის კამპუსის (მორფოლოგიის ინსტიტუტი მიმდებარე ტერიტორიით) უზრუნველყოფის პირობით.

სესხი მთლიანად იქნება დაფარული თსუ მედიცინის ფაკულტეტის შემოსავლებიდან, რომლის დაგეგმილი რაოდენობაც (2022 წლის შემოდგომის სემესტრის მიღების [როგორც საქართველოს, ისე უცხო ქვეყნის მოქალაქეების] შედეგების გათვალისწინებით, გადააჭარბებს 16 მილიონ ლარს. (2021 წლის მიღების შემდეგ დაგეგმილი შემოსავლები შეადგენდა 13 მილიონ ლარს).

კლინიკის შეძენა მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ფაკულტეტის ინტერნაციონალიზაციის პროცესს და, შესაბამისად, ფინანსურ მდგრადობას. უცხოელ სტუდენტთა კონტინგენტის 120-ის ფარგლებში, ხოლო მათი სწავლის საფასურის 8000$-ის ეკვივლენტის ფარგლებში შენარჩუნების პირობებში, ფაკულტეტის შემოსავალმა 4 წელიწადში შეიძლება მიაღწიოს სტაბილურ 20 მილიონ ლარს, რაც მნიშვნელოვნად წაადგება არა მხოლოდ მედიცინის ფაკულტეტის, არამედ, მთელი უნივერსიტეტის შემდგომ განვითარებას.

გთხოვთ, თქვენ თანხმობას (**შპს ,,წმინდა მიქაელ მთავარანგელოზის სახელობის მრავალპროფილიანი კლინიკური საავადმყოფო"** წარმოადგენს უძრავი ქონების მესაკუთრეს და აქედან გამომდინარე, გასათვალისწინებელია ,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 85-ე მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნები) უნივერსიტეტის მიერ „წმინდა მიქაელ მთავარანგელოზის სახელობის კლინიკის'' 45%-იანი წილის შეძენაზე.

ასევე, გთხოვთ, თქვენს თანხმობას წილის შეძენასთან დაკავშირებით, ფინანსური უზრუნველყოფის მიზნით, "საქართველოს ბანკისგან" სესხის აღების თაობაზე.

ლაშა საღინაძე

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

საფინანსო დეპარტამენტის უფროსს

ბ-ნ ირაკლი საღარეიშვილს

ბატონო ირაკლი,

გაცნობებთ, რომ 2021 წლის 05 ნოემბრის N23303/32 სამსახურეობრივი ბარათის საფუძველზე (რომელიც ეხება თსუ-სთვის მრავალპროფილური კლინიკის შესყიდვას) განვახორციელე ბაზრის შესწავლა.

სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში დადებითი შედეგით დასრულებული და ინტერნეტ სივრცეში (yell.ge; biz.aris.ge) მოძიებული იქნა პოტენციური მომწოდებლები, რომლებიც ახორციელებენ მსგავსი საქონლის მიწოდებას და გამოვლინდა 93 ერთეული შემდეგი სუბიექტი:

| N მომწოდებლის დასახელება | რეკვიზიტები (ელ-ფოსტა) | რეკვიზიტები (ტელეფონი) |
|---|---|---|
| 1. მედისონი | saburtalo@medison.ge | 247 06 06 |
| 2. გიდმედი | gidmedi@yahoo.com | (591) 35 33 55 |
| 3. თბილისი სითი მედიქალ | tbilisicitymedical@gmail.com | 218 04 15 |
| 4. ლოკუსი | lokus.medical@yahoo.com | 263 16 17, (568) 715 715 |
| 5. მარდალეიშვილის სამედიცინო ცენტრი | info@mmc.ge | 243 01 00 |
| 6. გ მედი | gmedtbilisi@gmail.com | (551) 33 32 43 |
| 7. ბიჯი უნიმედი | pk24st@yahoo.com | 240 39 08 |
| 8 . მედი ქლაბ | info@nmediclub.ge | 2 230 233 |
| 9. კლინიკა რეიმანი | info@raymann.ge | 212 11 22 |
| 10. ინტერმედი | intermedi1@mail.ru | 234 68 79 |
| 11. ინგოროყვას საუნივერსტიტო კლინიკა | info@htmc-neuro.ge | 205 05 00 |
| 12. პრემიუმ მედსერვისი | anna_skh@yahoo.com | 2 560 360 |
| 13. მედელიტი | info@medelite.ge | 214 40 44, (579) 72 77 09 |

| | | |
|---|---|---|
| 14. გერმანული ჰოსპიტალი | info@hgh.ge | **200 11 01** |
| 15. კლინიკა ლარსზე | clinikalarsze.info@gmail.com | **215 20 25, (551) 11 44 55** |
| 16. კლინიკა მკურნალი | info@mplus.com.ge | **279 43 94** |
| 17. წმ.იოანე მოწყალეს სახ. პრივატ კლინიკა | info@prc.ge | **224 44 24** |
| 18. ხეჩუნაშვილის სახ. საუნივერსტიტო კლინიკა | info@tbilisihospital.ge | **221 44 00** |
| 19. კლინიკა მედალფა | contact@medalpha.ge | **264 00 11** |
| 20. გრინ მედი | mc.greenmed@gmail.com | **218 65 30, (593) 15 07 96** |
| 21. 4 სამედიცინო ცენტრი | 4samedicinocentri@gmail.com | **(555) 40 04 28** |
| 22. ვიტამედი | vitamedimedical@gmail.com | **211 04 11** |
| 23. კლინიკა ნითა | nitaclinic@outlook.com | **237 77 25, (514) 88 88 75** |
| 24. გელა მუხაშავრიას კლინიკა | coloproctology@gol.ge | **239 55 38** |
| 25. კროლ მედიქალ კორპორეიშენი | krol.medical@mail.ru | **292 18 75** |
| 26. მედიკალ+ | medicalplus06@gmail.com | **291 30 33** |
| 27. კლინიკა მედიქალ ჰაუსი | info@medicalhouse.ge | **233 08 33** |
| 28. იმიგრანტი კლინიკა | monir_asian@yahoo.com | **(591) 04 22 60** |
| 29. კლინიკა თინომედი | tinomedi.clinic@gmail.com | **(592) 78 40 92** |
| 30. ალადაშვილის სახელობის კლინიკა | aladashviliclinic@gmail.com | **295 80 14** |
| 31.ბიუთი მედი | info@beautymedi.ge | **(597) 00 44 22, 220 65 65** |
| 32. მედჯი | medgeclinic@gmail.com | **(577) 08 33 66** |
| 33. სამკურნალო ცენტრი ჰარმონია | harmonia81@mail.ru | **255 20 55, (599) 61 02 05** |
| 34. ჩენდლერის ჰოსპიტალი | chandlershospital@gmail.com | **212 30 30** |
| 35. კლინიკა თერამედი | kvantini@yahoo.com | **(593) 95 47 18** |
| 36. მედქოლსათინგი | lomidzemaka@yahoo.com | **(599) 31 80 10** |
| 37. მედლაიფი | info@medlife.ge | **212 04 04** |
| 38. მედიკომი | info@medicom.ge | **293 28 17** |
| 39. კლინიკა ინიციო | info@initio.ge | **204 50 04** |
| 40. ახალი სამედიცინო კომპანია | 23poliklinika@gmail.com | **258 14 00** |
| 41. ინტერკლინიკა | interclinicgeo@yahoo.com | **222 11 31** |

| | | |
|---|---|---|
| 42. ენდემიცი | info@enmedic.com | **277 10 00** |
| 43. ესთერი | irmasiko@yahoo.com | **299 74 45** |
| 44. კიდმედი | kidmedi@rambler.ru | **247 71 61** |
| 45. პრემიუმ მედი | info@premiummedi.ge | **288 00 48, (555) 69 55 96** |
| 46. კლინიკა ქავთასი | Kavtasi@yahoo.com | **(595) 26 32 17** |
| 47. მედინვესტი | medinvest_geo@yahoo.com | **225 19 60** |
| 48. ლი_ მედი | limedi.ltd@gmail.com | **(599) 15 92 22** |
| 49. ვახტანგ ბოჭორიშვილის კლინიკა | info@bochorishvili.ge | **231 21 12, (577) 222 112** |
| 50. მრჩეველი | info@mrcheveli.com | **237 88 48, (599) 93 10 00** |
| 51. ინოვა | info@innovamedical.ge | **2 232 232** |
| 52. აქსა მედიქალ | reception@axa.ge | **205 32 32** |
| 53. ამტელ ჰოსპიტალ | hospital@amtelhospital.ge | **274 87 73** |
| 54. სამედიცინო ცენტრი მედიმედი | medimediltd@gmail.com | **291 14 01** |
| 55. კლინიკა მედსი | medsiclinics@gmail.com | **215 78 77** |
| 56. კავკას ბიო საინს | clinic.cmg@gmail.com | **(593) 13 48 83** |
| 57. ავერსის კლინიკა | clinic@aversi.ge | **2 500 700** |
| 58. პირველი სამედიცინო ცენტრი | qpopiashvili@yahoo.com | **269 42 05** |
| 59. მედგიდი | medguide21@gmail.com | **250 50 31, (596) 34 50 50** |
| 60. კლინიკა კონსილიუმი | consiliumclinic@yahoo.com | **2 988 188** |
| 61. მედ-ალიანსი | info@med-alliance.ge | **250 10 50** |
| 62. ამერიკული ჰოსპიტალი თბილისში | info@aht.ge | **243 00 83** |
| 63. ვისტამედი | info@vistamedi.ge | **223 04 04** |
| 64. კლინიკა რედი | clinicredi@yahoo.com | **265 11 21** |
| 65. ბერძნული სამედიცინო ცენტრი ჰიპოკრატე | alinasae@caucasus.net | **295 40 29** |
| 66. ნიუმედი | info@newmed.ge | **214 14 10** |
| 67. მედიგრუპი | contact@medigroup.com.ge | **248 78 78** |
| 68. კლინიკა ჯერარსი | info@jerarsi.ge | **211 11 12** |
| 69. ემ-ემ-ტე ჰოსპიტალი | info@mmt.ge | **223 40 23** |

70. მედი პრივე clinic@mediprive.info **290 30 90, (570) 30 90 90**

71. მედი ქლაბ ჯორჯია mcg@mediclubgeorgia.ge **225 19 91**

72. კაციაშვილის მრავალპროფილური mk-multiprofile-center@outlook.com **213 16 50**

კლინიკა

73. აიქიუ კლინიკა info@iqclinic.ge **2 937 037**

74. ქართულ-გერმანული კლინიკა მედჰაუსი medhouseclinic@gmail.com **(568) 05 03 03**

75. საქართველოს საპატრიარქოს წმიდა იოაკიმე barnovi2005@yahoo.com **275 57 57**

და ანას სახელობის სამედიცინო ცენტრი

76. კლინიკა ნიკემედი maiaabramia@yahoo.com **229 58 64, (593) 64 38 11**

77. ოპტიმალ მედი optimalmedy@gmail.com **219 38 18**

78. მედიკა+ medclinic+ge@gmail.com **2 222 155, (571) 898 118**

79. ალტრა ვიტა altravita.ge@gmail.com **243 15 51, (558) 89 51 51**

80. ნიუ ჰოსპიტალს office@newhospitals.ge **219 01 90**

81. მეთიკლინიკა meticlinic@gmail.com **2 356 456, (790) 88 52 53**

82. მედიჰელფი medihelpi.2017@gmail.com **243 43 10, (596) 11 43 43**

83. გიდმედი პლიუსი gidmediplus@gmail.com **230 56 16**

84. კლინიკა არია mariambochorishvili7779@gmail.com **(579) 22 11 53, 237 11 53**

85. ვივამედი vivamedi2018@gmail.com **210 11 00, (577) 600 112**

86. მედიკორი info@medicore.ge **2 302 002**

87. კლინიკა-ჯი ეს კლინიკ info@gsclinic.ge **239 90 10, (593) 90 10 10**

88. კარაპს მედლაინი contact@carapsmedline.ge **251 60 60**

90. ჰიპოკრეტე mmtavarangelozi@yahoo.com **295 11 00**

(წმინდა მიქაელ მთავარანგელოზის სახელობის

მრავალპროფილიანი კლინიკური საავადმყოფო)

91. თბილისის ზღვის ჰოსპიტალი info@tsh.ge **250 50 33**

92. სამგორი მედი samgorimedi1@gmail.com **255 03 74**

93. ქართულ - ჰოლანდიური ჰოსპიტალი info@gnmc@gmail.com **(591) 54 05 00**

აღნიშნულ კვლევაზე დაყრდნობით ყველა შესაძლო მომწოდებელს დაეგზავნა კვლევაში მონაწილეობის მიღებასთან დაკავშირებით შესაბამისი წერილი და დოკუმენტაცია. ასევე მქონდა სატელეფონო კონტაქტი. დაინტერესება გამოხატა მხოლოდ ერთმა პოტენციურმა მიმწოდებელმა:

1. შპს ,,ჰიპოკრატე“ ფასი 7 500 000 USD (შესაბამისი კურსით ლარში)

ინფორმაცია მომწოდებლის შემოთავაზებასთან დაკავშირებით დეტალურად შეგიძლიათ იხილოთ კვლევის დოკუმენტაციაში.

ამდენად გიგზავნით სრულ დოკუმენტაციას კვლევასთან დაკავშირებით და გთხოვთ, შემდგომი რეაგირებისთვის გადასცეთ შესაბამისს სამსახურს.

ამასთან ერთად, ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად, ხელის მოწერით ვადასტურებ, რომ ბაზრის კვლევის განხორციელებაში ჩემი მონაწილეობა კომპანიებთან არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

პატივისცემით,

ს ს ი პ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო

# ექსპერტიზის დასკვნა



ლევან სამხარაულის სახელობის
სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო
LEVAN SAMKHARAULI NATIONAL FORENSICS BUREAU

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW

№ 5001496122

14/03/2022

5001496122

სსიპ ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის
ხელმძღვანელს ბატონ ლაშა საღინაძეს

(ქ.თბილისი, ი.ჭავჭავაძის გამზ.#1)

ბატონო ლაშა,

სსიპ-ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო, თქვენი N1878/02-06-50 მომართვის (ბიუროს 2022 წლის 16 თებერვლის რეგისტრაციის N1001008822) საფუძველზე, გიგზავნით ექსპერტიზის N001492222 დასკვნას.

დანართი:

ექსპერტის დასკვნა 11 ფურცლად;

პატივისცემით,

მერაბ მურღულია

ბიუროს უფროსის მოადგილე

თბილისი 0162, ჭავჭავაძის გამზ. N84
ქუთაისი 4600, ი. ჭავჭავაძის 2ა
ბათუმი, პ. მელიქიშვილის ქ. N102

84 Chavchavadze ave., Tbilisi 0162
2A I. Chavchvadze str., Kutaisi 4600
102 P. Melikishvili str., Batumi

5001496122

ელექტრონული დოკუმენტის ასლის მატერიალურ დოკუმენტთან თანაბარ იურიდიულ ძალას ვადასტურებ, ხელმოწერისთვის პასუხისმგებელი პირი ____________________

თარიღი 14.03.2022 (ხელმოწერა) ბ.ა

001492222

**ექსპერტის დასკვნა № 001492222**

## გაფრთხილება

დეპარტამენტების უფროსების მიერ განმარტა ექსპერტის უფლება-მოვალეობები, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 168-ე და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 51-ე და 52-ე მუხლებით. ამასთან, ცრუ ჩვენების, ყალბი დასკვნის, საექსპერტო კვლევის ობიექტის დაუცველობისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ გაფრთხილებულები ვარ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 370-ე მუხლის შესაბამისად.

## ექსპერტიზის ჩატარების საფუძველი

ექსპერტიზის სახეობა: ექსპერტიზა: სასაქონლო ექსპერტიზა

დამკვეთი:

ორგანიზაცია: სსიპ ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

თანამდებობა: ადმინისტრაციის ხელმძღვანელი

მისამართი: ჭავჭავაძის #1

სახელი და გვარი: [illegible]

საკონტაქტო ინფორმაცია:

შემსრულებელი ექსპერტები:

[illegible] / სასაქონლო და ფინანსური ექსპერტიზის დეპარტამენტის ფინანსური ექსპერტიზის სამმართველოს ექსპერტი. სპეციალობით მუშაობის 12 წლის სტაჟით.შემფასებელთა და ექსპერტთა პროფესიული განვითარების ცენტრის მიერ ISO/IEC 17024 სტანდარტის მიხედვით გაცემული ბიზნესის შემფასებლის შესაბამისობის სერტიფიკატი B-0090

[illegible] / სასაქონლო და ფინანსური ექსპერტიზის დეპარტამენტის სასაქონლო ექსპერტიზის სამმართველოს ექსპერტი. სპეციალობით მუშაობის 15 წლის სტაჟით.შემფასებელთა და ექსპერტთა პროფესიული განვითარების ცენტრის მიერ ISO/IEC 17024 სტანდარტის მიხედვით გაცემული შესაბამისობის სერტიფიკატი №A-0659

[illegible] / სასაქონლო და ფინანსური ექსპერტიზის დეპარტამენტის სასაქონლო ექსპერტიზის სამმართველოს ექსპერტი. სპეციალობით მუშაობის 15 წლის სტაჟით.საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანოს - აკრედიტაციის ცენტრის აკრედიტაციის NGEO-268-20432279 ISO/IEC 17024 შესაბამისობის სერტიფიკატი P-0046 და A-0663

## ექსპერტიზის წინაშე დასმული კითხვები

შპს „წმინდა მიქაელ მთავარანგელოზის სახელობის მრავალპროფილიანი კლინიკური საავადმყოფოს" წილის 45 %-ის საბაზრო ღირებულების დადგენა.

შემოსვლის თარიღი: 16/02/2022 წ

გასვლის თარიღი: 14/03/2022 წ

## დასკვნა

ექსპერტიზაზე დამკვეთის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის/ინფორმაციის და კვლევით ნაწილში ასახული დაშვებების/გარემოებების გათვალისწინებით დადგინდა, რომ შპს „წმინდა მიქაელ მთავარანგელოზის სახელობის მრავალპროფილიანი კლინიკური საავადმყოფოს" 45%-იანი წილის საბაზრო ღირებულება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საორიენტაციოდ შეადგენს **8 961 653** ლარს.

001492222

**ექსპერტის დასკვნა № 001492222**

თამარ კირკიტაძე

## გამოკვლევა

ექსპერტი გაეცნო ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ განცხადებას, დამკვეთის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციას/ინფორმაციას და დაადგინა შემდეგი:

**- შესაფასებელი ობიექტი და შეფასების თარიღი**

შეფასების ობიექტია შპს „წმინდა მიქაელ მთავარანგელოზის სახელობის მრავალპროფილიანი კლინიკური საავადმყოფოს" 49%-იანი წილის საბაზრო ღირებულება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

**- შესაფასებელი ობიექტის მოკლე მიმოხილვა**

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება წმინდა მიქაელ მთავარანგელოზის სახელობის მრავალპროფილიანი კლინიკური საავადმყოფო რეგისტრირებულია დიდუბე-ჩუღურეთის სასამართლოს მიერ 1999 წლის 3 სექტემბერს;

საზოგადოების იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, დიდუბის რაიონი, ლუბლიანას ქ., N33;

საზოგადოებას მინიჭებული აქვს საიდენტიფიკაციო კოდი №202901832;

საზოგადოების ძირითადი საქმიანობაა სამედიცინო მომსახურება;

**- შეფასების მეთოდოლოგია**

### საბაზრო ღირებულების დეფინიცია

„საბაზრო ღირებულება წარმოადგენს გამოთვლად ფულად სიდიდეს, რომელითაც გაიცვლება ქონება შეფასების თარიღისათვის დაინტერესებულ მყიდველსა და დაინტერესებულ გამყიდველს შორის "გაშლილი მკლავის" პრინციპით ტრანზაქციისას, სათანადო მარკეტინგის ჩატარების შემდეგ, როდესაც თითოეული მხარე მოქმედებს გათვითცნობიერებულად, წინდახედულად და ძალდატანების გარეშე".

ქონების შეფასების პრაქტიკაში გამოიყენება სამი ძირითადი საშემფასებლო მიდგომა, რომელთაც გააჩნიათ ერთმანეთისგან განსხვავებული ამოსავალი წერტილები და ლოგიკა. ეს მიდგომებია:

**- აქტივებზე დაფუძნებული მიდგომა;**

**- შემოსავლის მიდგომა;**

**- საბაზრო მიდგომა;**

### აქტივებზე დაფუძნებული მიდგომა

აქტივებზე დაფუძნებული მიდგომა ჩანაცვლების პრინციპს ეყრდნობა: აქტივის ფასი არ აღემატება იმას, რაც მას ყველა შესაძლებელი ნაწილის შეცვლის შემდეგ ექნებოდა. აქტივებზე დაფუძნებული მიდგომა გულისხმობს, რომ გონიერი მყიდველი არ გადაიხდიდა აქტივში იმაზე მეტს რასაც ის სხვა აქტივში გადაიხდიდა, რომელსაც შეუძლია ჩაანაცვლოს იგი.

აღნიშნული მეთოდის გამოყენებისთვის საჭიროა გავითვალისწინოთ კომპანიის აქტივების და ვალდებულებების ნარჩენი ღირებულება შეფასების თარიღის მდგომარეობით. საჭიროების ან/და შესაბამისი ინფორმაციის არსებობის შემთხვევაში [illegible]

### შემოსავლის მიდგომა

შემოსავლების მიდგომა, რომლითაც სამართლიანი საბაზრო ღირებულება დგინდება ეყრდნობა აქტივებს, რომელიც მთელი დარჩენილი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში ფულადი ნაკადების გენერირებას ახდენს. შემოსავლის კაპიტალიზაციის მეთოდის გამოყენებით შესაძლებელია შეფასდეს კომპანიის საბაზრო ღირებულება მომავალი შემოსავლების მიხედვით.

### საბაზრო მიდგომა

საბაზრო მიდგომა ერთადერთი მიდგომაა, რომელიც დასკვნას ღირებულებაზე ბაზრის თვალთახედვით აკეთებს. ამასთან, აღნიშნული მიდგომა მხოლოდ ბაზრის შესადარებელ მონაცემებს ეყრდნობა და ხდება შესადარისი კომპანიის სხვადასხვა კოეფიციენტების გამოყენება. ძირითადი წინაპირობა ასეთი შეფასების დროს არის, რომ შესაფასებელ კომპანიას ისეთი ფინანსური მახასიათებლები უნდა ჰქონდეს, როგორიც შესადარებელ კომპანიას გააჩნიათ, მაგალითად შემოსავალი, მოგება და სხვა.

### - შეზღუდვები და დაშვებები

საექსპერტო კვლევას თან ახლდა შემდეგი სახის შემზღუდავი პირობები და ამ პირობებიდან ექსპერტის მიერ გაკეთებულ მიღებულ იქნა შემდეგი სახის დაშვებები:

1. მოცემული დასკვნა მოიცავს ექსპერტის პროფესიონალურ აზრს და არსებული მასალების/ინფორმაციის საფუძველზე დადგენილია კომპანიის ღირებულება.
2. კვლევის ჩატარების დროს იგულისხმებოდა, რომ არ არსებობდა რაიმე ფარული ფაქტორები, რომლებიც გავლენას იქონიებდნენ ღირებულების განსაზღვრაზე. ექსპერტს არ ეკისრება პასუხისმგებლობა ასეთი ფაქტორების აღმოჩენაზე;
3. ექსპერტის მიერ მიღებული საბოლოო მაჩვენებელი მოქმედია მხოლოდ შეფასების თარიღისათვის. ექსპერტი არ იღებს არანაირ პასუხისმგებლობას ეკონომიკური, იურიდიული, ბუნებრივი და სხვა ფაქტორების ცვლილებებზე, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას ამ თარიღის შემდეგ და გავლენა იქონიოს მასზედ.

### - ფაქტების კვლევა

საქმის მასალების გაცნობის შემდგომ ექსპერტის მიერ 2022 წლის 17 თებერვალს წერილობით (ბიუროს რეგ. #5001017722) წარმოდგენილი იქნა შემდეგი დოკუმენტაცია:

წესდება და ინფორმაცია საქმიანობის შესახებ;

- ბალანსი შეფასების პერიოდისათვის;

- დებიტორების და კრედიტორების დეტალური ჩამონათვალი შეფასების პერიოდისათვის;

- ბალანსზე რიცხული სასაქონლო მატერიალური მარაგების, უძრავი და მოძრავი ქონებების ჩამონათვალი შეფასების პერიოდისათვის (საკადასტრო კოდების, კვადრატულობის, ადგილმდებარეობის, მდგომარეობის, ექსპლუატაციაში შესვლის თარიღებით, საწყისი, საბალანსო და ნარჩენი ღირებულების მითითებით);

- მოგება/ზარალის და ფულადი ნაკადების მოძრაობის შესახებ ანგარიშგება, მიმდინარე და გასული 3 წლის;

- ფინანსური მაჩვენებლების მომავალი 5 წლის საპროგნოზო მონაცემები, შესაბამისი კაპიტალური დანახარჯებისა და წმინდა სამუშაო კაპიტალის ცვლილებების შესახებ ინფორმაციის მითითებით. ამასთან, არსებობის შემთხვევაში გთხოვთ გვაცნობოთ კონკრეტულად კომპანიისთვის განსაზღვრული დისკონტის განაკვეთი;

- სხვა კომპანიებში წილის ფლობის შესახებ ინფორმაცია, ასეთის არსებობის შემთხვევაში შვილობილი კომპანიის შესაბამისი დოკუმენტაცია;

- გამოსაკვლევ პერიოდში წილების რეალიზაციის შესახებ ინფორმაცია, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ასევე ყველა ის დოკუმენტი, რომელიც დაკავშირებულია აღნიშნულ საკითხებთან.

ექსპერტიზის ბიუროში 2022 წლის 22 თებერვალს და 10 მარტს დამკვეთის მიერ წარმოდგენილი იქნა დამატებითი დოკუმენტაცია/ინფორმაცია.

დამკვეთის მიერ დამატებით წარმოდგენილი დოკუმენტაციით/ინფორმაციით ირკვევა, რომ კომპანიას არ აქვს მომზადებული საპროგნოზო მონაცემები, კლინიკა სხვა კომპანიაში წილს არ ფლობს, ასევე გამოსაკვლევ პერიოდში არ განხორციელებულა წილების რეალიზაცია. გარდა აღნიშნულისა დამკვეთის წერილობითი მომართვით გვეცნობა, რომ მოძრავი ქონება შეფასდეს საბალანსო ღირებულებით.

ექსპერტიზაზე დამკვეთის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის/ინფორმაციის შესაბამისად კომპანიის ღირებულების განსაზღვრა განხორციელებულია აქტივების მიდგომით.

ექსპერტიზაზე წარმოდგენილია, შპს „აუდიტექსის" მიერ შედგენილი, 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შპს „წმინდა მიქაელ მთავარანგელოზის სახელობის მრავალპროფილიანი კლინიკური საავადმყოფოს" ფინანსური ანგარიშგება, სადაც ასახულია კომპანიის ბალანსი, რომლის მიხედვით საზოგადოებას ბალანსზე ერიცხება აქტივები სულ 22 422 804 ლარის, კერძოდ:

- ფული და ფულის ეკვივალენტი 1 565 437 ლარი;

- დებიტორული დავალიანება 3 367 792 ლარი;

- სასაქონლო-მატერიალური მარაგები 2 462 972 ლარი;

- ძირითადი საშუალებები 14 021 235 ლარი;

- არამატერიალური აქტივები 5 830 ლარი;

- სხვა მოთხოვნები 943 705 ლარი;

- სხვა აქტივები 55 833 ლარი;

რაც შეეხება შპს „წმინდა მიქაელ მთავარანგელოზის სახელობის მრავალპროფილიანი კლინიკური საავადმყოფოს" ვალდებულებებს სულ შეადგენს 8 465 454 ლარს, კერძოდ:

- კრედიტორული დავალიანება 1 910 399 ლარი;

- მიღებული სესხები 4 609 985 ლარი;

- გადასახდელი ხელფასები 1 002 724 ლარი;

- საგადასახადო ვალდებულება 508 503 ლარი;

- სხვა ვალდებულება 433 845 ლარი;

კომპანიის ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებების ღირებულებიდან 14 021 235 ლარიდან, უძრავი ქონების საბალანსო ღირებულება შეადგენს 10 678 629,63 ლარს, ხოლო მოძრავი ქონების საბალანსო ღირებულება 3 342 605,37 ლარს.

უძრავი ქონების შემფასებლის მიერ დადგინდა შპს „წმინდა მიქაელ მთავარანგელოზის სახელობის მრავალპროფილიანი კლინიკური საავადმყოფოს" ბალანსზე რიცხული უძრავი ქონების (საბალანსო ღირებულება 10 678 629,63 ლარი) საბაზრო ღირებულება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, რაც შეადგენს 16 636 063 ლარს. დეტალურად იხ. სასაქონლო ექსპერტიზის კვლევა. შესაბამისად კომპანიის შეფასებისას გათვალისწინებულია აღნიშნული საბაზრო ღირებულება.

მოძრავი ქონების (საბალანსო ღირებულება 3 342 605,37 ლარი) ღირებულება კომპანიის შეფასებისას გათვალისწინებულია საბალანსო ღირებულებით.

ამრიგად, შპს „წმინდა მიქაელ მთავარანგელოზის სახელობის მრავალპროფილიანი კლინიკური საავადმყოფოს" 100%-იანი წილის საბაზრო ღირებულება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 19 914 783.37 ლარს.

V=8401569-3342605,37+16636063-8465454= **19 914 783.37**

**- შეფასების შედეგები:**

ექსპერტიზაზე წარმოდგენილი დოკუმენტაციის/ინფორმაციის, კვლევით ნაწილში ასახული გარემოებების/დაშვებების გათვალისწინებით დადგინდა, რომ შპს „წმინდა მიქაელ მთავარანგელოზის სახელობის მრავალპროფილიანი კლინიკური საავადმყოფოს" 45%-იანი წილის საბაზრო ღირებულება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საორიენტაციოდ შეადგენს **8 961 653** ლარს (19914783.37*45%).

001492222

**ექსპერტის დასკვნა № 001492222**

თამარ კირკიტაძე

ექსპერტიზის წინაშე დასმულია საკითხი დადგინდეს, ქ. თბილისში, ლუბლიანას ქუჩა N33-ში მდებარე, შპს „წმინდა მიქაელ მთავარანგელოზის სახელობის მრავალპროფილიანი კლინიკური საავადმყოფოს" საკუთრებაში არსებული, N01.13.01.008.007 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული უძრავი ქონების საბაზრო ღირებულება. ექსპერტის მიერ დათვალიერებული, დასურათებული და შესწავლილი იქნა დამკვეთის მიერ წარმოდგენილი უძრავი ქონება.

საჯარო რეესტრიდან ამონაწერის მიხედვით (**განაცხადის რეგისტრაცია** №**882021029880** ; **მომზადების თარიღი** 21/01/2021) მისი მონაცემებია: **საკადასტრო კოდი** – №01.13.01.008.007; **მისამართი** – ქალაქი თბილისი, ლუბლიანას ქუჩა N33; **ნაკვეთის საკუთრების ტიპი:** თანასაკუთრება; **ნაკვეთის ფუნქცია** – არასასოფლო სამეურნეო; **დაზუსტებული ფართობი** – 3186.00 კვ.მ. **შენობა-ნაგებობები:** N1; **მესაკუთრე:** შპს „წმინდა მიქაელ მთავარანგელოზის სახელობის მრავალპროფილიანი კლინიკური საავადმყოფო" ფართი - 9430.57 კვ/მ.

ადგილზე დათვალიერების შედეგად დადგინდა, რომ №01.13.01.008.007 საკ. კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე დამაგრებული შენობა ნაგებობის ნაწილი 9430.57 კვ/მ. წარმოადგენს შპს „წმინდა მიქაელ მთავარანგელოზის სახელობის მრავალპროფილიანი კლინიკური საავადმყოფო"-ს საკუთრებაში არსებულ ფართს, რომელიც ინსპექტირების მომენტისათვის გამოიყენებოდა როგორც სამედიცინო დაწესებულება, მასში ჩატარებულია სარემონტო სამუშაოები, გააჩნია სარდაფისა და ტექნიკური სართულები.

შეზღუდვები და დაშვებები

შეფასების პროცესს თან ახლდა შემდეგი სახის შემზღუდავი პირობები და ამ პირობებიდან შემფასებლის მიერ გაკეთებულ მიღებულ იქნა შემდეგი სახის დაშვებები:

1. მოცემული დასკვნა მოიცავს შემფასებლების პროფესიონალურ აზრს. მათ მიერ დადგენილ ღირებულების მაჩვენებელთან მიმართებაში /ობიექტის სავარაუდო გასაყიდი ფასი/ და არ შეიძლება ჩაითვალოს გარანტიად იმისა, რომ შეფასებული ქონება ხელიდან ხელში გასხვისებული იქნება ზუსტად შეფასებული ღირებულების მიხედვით;
2. შეფასების ჩატარების დროს იგულისხმებოდა, რომ არ არსებობდა რაიმე ფარული ფაქტორები, რომლებიც გავლენას იქონიებდნენ შესაფასებელი ქონების ღირებულების განსაზღვრაზე. შემფასებელს არ ეკისრება პასუხისმგებლობა ასეთი ფაქტორების აღმოჩენაზე;
3. ღირებულების საბოლოო მაჩვენებელი წარმოადგენს მოპოვებული ინფორმაციის ანალიზის შედეგად მიღებულ შედეგს და არ წარმოადგენს იმის გარანტიას, რომ ბაზარზე შეიძლება არ არსებობდეს სხვა შეთავაზებები ან გარიგების ფაქტები, რომლებიც განსხვავდებიან თანხობრივი მაჩვენებლებით;
4. შემფასებლის მიერ მიღებული ღირებულების საბოლოო მაჩვენებელი მოქმედია მხოლოდ შეფასების თარიღისათვის. შემფასებელი არ იღებს არანაირ პასუხისმგებლობას ეკონომიკური, იურიდიული, ბუნებრივი და სხვა ფაქტორების ცვლილებებზე, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას ამ თარიღის შემდეგ და გავლენა იქონიოს საბაზრო სიტუაციაზე და შესაბამისად შესაფასებელი ობიექტის ღირებულებაზე;
5. ანალოგებზე მონაცემები მოპოვებულია საჯარო რეესტრის ელექტრონული ბაზის, საგაზეთო გამოცემების, ინტერნეტის და "რიელტორი" ფირმების მეშვეობით, რომელთა ინფორმაციასაც გააჩნია ყველაზე მაღალი ნდობის ფაქტორი.
6. ინფორმაცია, შეფასებები და მოსაზრებები, რომელსაც მოიცავს მოცემული დასკვნა, მიღებულია იმ წყაროებზე დარწმუნებით, რომელიც შემფასებლის მიერ მიჩნეული იქნა სანდოდ. ამასთან, შემფასებელი პასუხს არ აგებს ამ წყაროებიდან მიღებულ ინფორმაციებზე.
7. ექსპერტების მიერ მიღებულია დაშვება, რომ საჯარო რეესტრის ამონაწერში დაფიქსირებული საკვლევი უძრავი ქონების ფართი სწორია და შეესაბამება სინამდვილეს, ექსპერტი არ იღებს პასუხისმგებლობას მის სიზუსტეზე.

**შეფასების მეთოდოლოგია**

***საბაზრო ღირებულების დეფინიცია***

საბაზრო ღირებულება არის შეფასებითი (გაანგარიშებითი) თანხა, რომლითაც აქტივი ან ვალდებულება უნდა გაიცვალოს

შეფასების თარიღისათვის, გარიგების მსურველ მყიდველსა და გამყიდველს შორის, სათანადო მარკეტინგული ღონისძიებების შემდეგ, “გაშლილი ხელის მანძილის პრინციპით” დადებულ გარიგებაში, როდესაც თითოეული მხარე იმოქმედებდა შეგნებულად, წინდახედულად და ძალდაუტანებლად”.

უძრავი ქონების საბაზრო ღირებულება მიღებულია აღნიშნული პერიოდისათვის მომსახურების ბაზარზე იდენტური (ხოლო მისი არ არსებობის შემთხვევაში მსგავსი) ქონების მოთხოვნისა და მიწოდების ურთიერთზემოქმედების შედეგად დადებული გარიგების საფუძველზე. უძრავი ქონების ბაზრად ითვლება მიმოქცევის სფერო, რომელიც განისაზღვრება გამყიდველის/მყიდველის შესაძლებლობებით, მნიშვნელოვანი დანახარჯის გარეშე გაყიდოს/შეიძინოს ქონება გამყიდველისთვის/მყიდველისათვის უახლოეს ტერიტორიაზე საქართველოში.

### *შეფასების გამოყენებული მეთოდი*

ამ შეფასების მიზნებისათვის შემფასებლის მიერ გამოყენებულ იქნა მხოლოდ ***გაყიდვების შედარების მიხედვით მიდგომა***, რაც გულისხმობს შემდეგს: შესაფასებელი ობიექტის პირდაპირ შედარებას ანალოგების იმ მონაცემებთან, რომლებიც გაყიდულ იქნა ან რომლებიც განცხადებული არიან გასაყიდად.

### გაყიდვების შედარების მიხედვით მიდგომა

გაყიდვების შედარებაზე დაფუძნებული მიდგომის გამოყენებისას, შემფასებელმა განახორციელა ქმედებების შემდეგი თანმიმდევრობა:

- გამოიკვლია ბაზარი (მოახდინა ბაზრის იმ მონაცემების მოპოვება და ანალიზი, რომლებიც საშუალებას იძლეოდნენ დადგენილიყო ანალოგიური უძრავი ქონების ობიექტები);
- დაადგინა ინფორმაციის სისწორე;
- შეარჩია შედარების ის ელემენტები, რომელთა მეშვეობითაც განხორციელდა შესაფასებელი ქონების ობიექტის შედარება ანალოგებთან;
- შეადარა გასაყიდი ქონების ობიექტები განსახილველ ქონებას, შედარების ელემენტების გამოყენებით;
- დააკორექტირა ყველა ანალოგიური დადგენილი შედარების ელემენტის ფასები შესაფასებელი უძრავი ქონების ელემენტებთან მიმართებაში;
- დაადგინა შესაფასებელი უძრავი ქონების საბაზრო ღირებულება ანალოგებთან დაკორექტირებული ფასების შეჯერების გზით.

### *შედარების ელემენტები*

შედარების ელემენტები განსაზღვრავენ ქონების ობიექტების და გარიგებების სპეციფიურ მახასიათებლებს, რომლებიც ხსნიან ფასების ვარიაციებს. ბაზრის ანალიზი ავლენს, რომელი ელემენტებია განსაკუთრებით მგრძნობიარე.

*გაყიდვების შესადარისი მონაცემების ანალიზისას ძირითადად ითვლება შემდეგი შედარების ელემენტები:*

- *უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლებების გადაცემა...*
- *დაფინანსების პირობები ....*
- *გაყიდვის პირობები ....*
- *დანახარჯები, რომელიც გასაწევია უშუალოდ ყიდვის შემდეგ ...*
- *ბაზრის პირობები ...*
- *ადგილმდებარეობა ....*
- *ფიზიკური მახასიათებლები ...*
- *ეკონომიკური მახასიათებლები ...*
- *გამოყენება ...*
- *გაყიდვის არა-უძრავი კომპონენტები...”*

ამ ქეისისთვის ექსპერტის მიერ მოძიებული იქნა შესაფასებელი უძრავი ქონების მსგავსი რამოდენიმე შესადარისი ობიექტი, რომლებიც დაკორექტირდა სხვადასხვა შედარების ელემენტზე და შეფასების პერიოდისათვის მიღებული იქნა საბოლოო საორიენტაციო საბაზრო ღირებულება, რამაც 1 კვ.მ შეადგინა 672 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში.

001492222

ყოველივე ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, ქ. თბილისში, ლუბლიანას ქუჩა 33-ში მდებარე, №01.13.01.008.007 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონებიდან შპს „წმინდა მიქაელ მთავარანგელოზის სახელობის მრავალპროფილიანი კლინიკური საავადმყოფო"-ს საკუთრებაში არსებული 9430.57 კვ/მ-ის საბაზრო ღირებულება (დღგ-ს ჩათვლით) 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საორიენტაციოდ შეადგენს **19 630 554,00** ლარს, ხოლო დღგ-ს გარეშე შეადგენს - **16 636 063,00 ლარს.**

ნინო შონია

ილია კონჯარია

ექსპერტის დასკვნა ტექნიკური წესით გადაამოწმა: შოთა ივანაშვილი

ექსპერტის დასკვნა ტექნიკური წესით გადაამოწმა: დავით ამაშუკელი

ექსპერტის დასკვნა ადმინისტრაციული წესით გადაამოწმა: გიორგი ჩადუნელი

ფოტოილუსტრაცია



ფოტო 1



ფოტო 2



ფოტო 3



ფოტო 4



ფოტო 5



ფოტო 6



ფოტო 7



ფოტო 8

დანართი №1

| შედარების ელემენტები | შეფასების ობიექტი | ანალოგი №1 (ლუბლიანას ქუჩა) | ანალოგი №2 (დიდი დიღომი, ნესტან დარეჯანის ქუჩა) | ანალოგი №3 (გლდანი) |
|---|---|---|---|---|
| მთლიანი ფასი (აშშ დოლარი) | ? | 2000000 | 1070000 | 2000000 |
| ფართობი (კვ.მ) | 9430.57 | 1100 | 1160 | 1200 |
| 1 კვ.მ-ის ფასი (აშშ დოლარი) | ? | 1818 | 922 | 1667 |
| **ყიდვის შემდგომ გასაწევი ხარჯები** | | შეთავაზება | შეთავაზება | შეთავაზება |
| კორექტირება | | -10% | -10% | -10% |
| დაკორექტირებული ფასი | | 1636 | 830 | 1500 |
| **ბაზრის პირობები** | | მიმდინარე | მიმდინარე | მიმდინარე |
| კორექტირება | | – | – | – |
| დაკორექტირებული ფასი | | 1636 | 830 | 1500 |
| **ადგილმდებარეობა** | ლუბლიანას ქ. | მსგავსი | უარესი | მსგავსი |
| კორექტირება | | – | 10% | – |
| დაკორექტირებული ფასი | | 1636 | 913 | 1500 |
| | | **ფიზიკური მახასიათებლები** | | |
| კორექტირება რემონტის დონეზე | გარემონტებული. საშუალო | გარემონტებული | გარემონტებული | გარემონტებული |
| კორექტირება | | -70$ | -70$ | -70$ |
| კორექტირება ფართობზე | 9430.57 მათ შორის ტექნიკური სართული 1559.23 | 1100 | 1160 | 1200 |
| კორექტირება | | -35% | -35% | -35% |
| | | 515$ | 320$ | 525$ |
| კორექტირება ვაკანტური მიწის ნაკვეთის არსებობაზე | არ გააჩნია | გააჩნია | გააჩნია | გააჩნია |
| კორექტირება | | – 10% | – 10% | – 10% |
| | | 147 | 91 | 150 |
| დაკორექტირებული ფასი | | **830** | **432** | 755 |
| **1 კვ.მ-ის საბოლოო შეფასებული ღირებულება (აშშ დოლარი)** | 672 | | | |
| **ფართობი (კვ.მ)** | 9430.57 | | | |
| **მთლიანი შეფასებული ღირებულება (აშშ დოლარი)** | 6337343 | | | |
| **მთლიანი შეფასებული ღირებულება ლარი (1 აშშ დოლარი-3.0976)** | 19630554 | | | |

## სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს პარტნიორი ორგანიზაციები:

### ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს ანტინარკოტიკული და სამართალდამცავი პროგრამა (INL Program):

სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო წლების მანძილზე აქტიურად თანამშრომლობს ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს ანტინარკოტიკულ და სამართალდამცავ პროგრამასთან (INL Program).

INL- ის დახმარებით რეკონსტრუქცია ჩაუტარდა ბიუროს ცენტრალურ ოფისს, სრულად აღიჭურვა ბიუროს დნმ ლაბორატორია და სხვადასხვა ლაბორატორიებისათვის შეძენილ იქნა საჭირო უახლესი აპარატურა. INL –ის ორგანიზებით მუდმივად ხდება ბიუროს ექსპერტების დატრენინგება ექსპერტიზის თანამედროვე მეთოდების შესწავლის მიზნით.

INL-ი ასევე ბიუროს აქტიურად უწევს კონსულტაციას ხარისხის მართვის პროცედურების შემუშავებაში, რაც ხელს შეუწყობს სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში ისო:17025 საერთაშორისო სტანდარტის მოთხოვნების დანერგვას.

### სასამართლო ექსპერტიზის დაწესებულებათა ევროპული ქსელი (ENFSI):

სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ლაბორატორიები გაწევრიანებული არიან სასამართლო ექსპერტიზის დაწესებულებათა ევროპული ქსელის (ENFSI) სამუშაო ჯგუფებში:

- დნმ-ის სამუშაო ჯგუფი (DNA Working Group)
- ნარკოტიკების სამუშაო ჯგუფი (Drugs Working Group)
- მინისა და ლაქ-საღებავების სამუშაო ჯგუფი (Paint and Glass Working Group)

სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს გაწევრიანებული ლაბორატორიები აქტიურად მონაწილეობენ ENFSI–ის სამუშაო ჯგუფების მიერ ორგანიზებულ საერთაშორისო სამუშაო შეხვედრებზე და ლაბორატორიების საკვალიფიკაციო ტესტირებაში.

### ჰოლანდიური საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია - ფონდი „გლობალური ინიციატივა ფსიქიატრიაში“:

„გლობალური ინიციატივა ფსიქიატრიაში“ ფონდის დახმარებით დაპროექტდა და აღიჭურვა სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ფსიქიატრიული ექსპერტიზის დეპარტამენტის ახალი შენობა.

ასევე ფონდის დახმარებით ბიუროს ექსპერტებისთვის პერიოდულად ტარდება სასემინარო სწავლებები სასამართლო ფსიქიატრიის აქტუალური საკითხების სფეროში.

### თურქეთის სასამართლო მედიცინის საბჭო (Adli Tip Kurumu):

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში, მიმდინარეობს სამეცნიერო თანამშრომლობა სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროსა და თურქეთის სასამართლო მედიცინის საბჭოს შორის, რომლის მიზანია განავითაროს ჯვარედინი სასამართლო ექსპერტიზის სფეროში, განახორციელოს ინფორმაციის, იდეებისა და ცოდნის გაცვლა სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროსა და თურქეთის სასამართლო მედიცინის საბჭოს ლაბორატორიებს შორის.

### სახელმწიფო ექსპერტიზის ბიურო - ლატვია (State Forensic Science Bureau):

სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო თანამშრომლობს ლატვიის სახელმწიფო ექსპერტიზის ბიუროსთან მინის, ლაქ-საღებავებისა და ბოჭკოების ექსპერტიზის მიმართულებით. თანამშრომლობა ითვალისწინებს კვლევის თანამედროვე მეთოდებზე ინფორმაციისა და ლიტერატურის გაზიარებას და სამეცნიერო გაცვლითი პროგრამების ორგანიზებას.

### ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტო (IAEA):

სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო თანამშრომლობს ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოსთან, რომელიც უზრუნველყოფს ბიუროს ექსპერტების გადამზადებას გარემოს რადიაციული მონიტორინგის საკითხებში. სწავლება მიმდინარეობს შესაბამისი თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით.

საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
მედიცინის ფაკულტეტი
LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW -
IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY
FACULTY OF MEDICINE

N 26334/32
09/12/2021

26334-32-3-202112091503

**ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ბატონ ლაშა საღინაძეს**

ბატონო ლაშა,

როგორც მოგეხსენებათ, 2021 წლის 05 ნოემბრის N23303/32 სამსახურეობრივი ბარათის საფუძველზე (რომელიც ეხება თსუ-სთვის მრავალპროფილური კლინიკის შესყიდვას) განხორციელდა ბაზრის შესწავლა. დაინტერესება გამოხატა მხოლოდ ერთმა პოტენციურმა მიმწოდებელმა - შპს ,,ჰიპოკრატემ" ფასი 7 500 000 USD (შესაბამისი კურსით ლარში) (იხ. შიდა დოკუმენტი N 24542/10, 19/11/2021 წ.).

თსუ მედიცინის ფაკულტეტის ადმინისტრაციამ შეისწავლა წარმოდგენილი ვარიანტი. სამედიცინო დაწესებულება - შპს ,,ჰიპოკრატე" აკმაყოფილებს საუნივერსიტეტო კლინიკის მოთხოვნებს. მას ასევე მიღებული აქვს მრავალპროფილური კლინიკის შესაბამისი ლიცენზიები და სრულად აკმაყოფილებს დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს თანამედროვე სტანდარტებს. კლინიკას შეუძლია შეასრულოს როგორც თსუ მედიცინის ფაკულტეტის სასწავლო კლინიკური ბაზის, ასევე თსუ თანამშრომლებისათვის ჰოსპიტალური სამედიცინო მომსახურების ცენტრის როლი.

ქედან გამომდინარე, თსუ მედიცინის ფაკულტეტი მიზანშეწონილად მიიჩნევს აღნიშნული კლინიკის შეძენას.

პატივისცემით,

ჭიაურელის ქ. 2, 0159 თბილისი, საქართველო
2, Chiaureli Str., 0159 Tbilisi, Georgia
http://www.medicine.tsu.ge
ტელეფონი: +(995 32) 291 31 25, 2 25 13 60 Tel.
ფაქსი: +(995 32) 252 09 76 Fax.
ელ-ფოსტა: medicine@tsu.ge; E-mail

დიმიტრი კორძაია

დეკანი
ადმინისტრაცია

N 3074/32
15/02/2022

3074-32-3-202202151453

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ბატონ ლაშა საღინაძეს

ბატონო ლაშა,

როგორც მოგეხსენებათ, თსუ-ის მედიცინის ფაკულტეტის 2021 წლის 3 ნოემბრის N12-ე სხდომაზე, მიღებული იქნა გადაწყვეტილება, რომ ფაკულტეტის სასწავლო, კლინიკური და სამეცნიერო ამოცანების, ასევე ფაკულტეტის გაზრდილი ბიუჯეტის გამოყენებით, თსუ-ს შეეძინა მრავალპროფილური კლინიკა, რომელიც დააკმაყოფილებდა საუნივერსიტეტო მოთხოვნებს და დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს სტანდარტებს.

ჩვენი ოფიციალური თხოვნის საფუძველზე, თქვენი დავალებით, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის შესაბამისმა სტრუქტურამ ჩაატარა კლინიკის შესყიდვასთან დაკავშირებით ბაზრის კვლევა, რომლის შედეგადაც აღმოჩნდა, რომ ჩვენს მოთხოვნებს პასუხობდა „წმინდა მიქაელ მთავარანგელოზის სახელობის კლინიკა''.

აღნიშნული კლინიკის შესყიდვის მიზნით გადაიდგა პრაქტიკული ნაბიჯები და ჩატარდა მოლაპარაკებების მთელი სერია კლინიკის დამფუძნებლებთან და ხელმძღვანელებთან.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, 2022 წლის 15 თებერვალს ჩატარდა მედიცინის ფაკულტეტის საბჭოს N3 სხდომა. მსჯელობის შედეგად, გადაწყდა, რომ ამჟამად, მიზანშეწონილია, თსუ-მ შეიძინოს აღნიშნული კლინიკის 45%-იანი წილი შემდეგი პირობებით:

- დაწესებულების მენეჯმენტში უნივერსიტეტი წარმოდგენილი იქნება პრიორიტეტულად;
- კლინიკა მოემსახურება მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტებს, აკადემიურ პერსონალს და კათედრებს.

ბატონო ლაშა, გთხოვთ თქვენს თანადგომას, რათა თსუ-მ შემჭიდროებულ ვადებში განახორციელოს წმინდა მიქაელ მთავარანგელოზის სახელობის კლინიკის 45%-იანი წილის შესყიდვისთვის (აღნიშნული წილის შეფასება) და შესაბამისი საბანკო სესხის აღებისთვის საჭირო პროცედურები.

ჭიაურელის ქ. 2, 0159 თბილისი, საქართველო
2, Chiaureli Str., 0159 Tbilisi, Georgia
http://www.medicine.tsu.ge

ტელეფონი: +(995 32) 291 31 25, 2 25 13 60 Tel.
ფაქსი: +(995 32) 252 09 76 Fax.
ელ.ფოსტა: medicine@tsu.ge; E-mail

პატივისცემით,

დიმიტრი კორძაია

დიმიტრი კორძაია

დეკანი

ადმინისტრაცია

საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
მედიცინის ფაკულტეტი
LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW -
IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY
FACULTY OF MEDICINE

N 23304/32
05/11/2021

23304-32-3-202111051636

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს,
ბატონ, გიორგი შარვაშიძეს

ბატონო გიორგი,

მოგახსენებთ, რომ მიმდინარე წლის 4 ნოემბერს მედიცინის ფაკულტეტის საბჭოს N12 სხდომაზე განხილული იქნა საუნივერსიტეტო კლინიკის შეძენის საკითხი. სხდომამ მხარი დაუჭირა აღნიშნულ პროექტს.

დამატებით მოგახსენებთ, რომ საქართველოს ექიმთა ასოციაციას თსუ-სთან გაფორმებული აქვს ხელშეკრულება საუნივერსიტეტო კლინიკის პროექტთან დაკავშირებით. აღნიშნული ხელშეკრულების საფუძველზე ჩატარებული მუშაობის შედეგად თსუ-ს საკუთრებაში გადმოეცა თბილისში კონსტიტუციის ქუჩა N2-ში მდებარე შენობა-ნაგებობა მიწის ნაკვეთით (ყოფილი, თბილისის N2 მრავალპროფილური კლინიკის შენობა), ხოლო საქართველოს ექიმთა ასოციაციამ ამერიკის შეერთებული შტატებიდან საჩუქრად მიიღო 200 000 $ ღირებულების სამედიცინო აღჭურვილობა, რომელიც ამჟამად ინახება თსუ - ს ალ.ნათიშვილის სახ.-ის მორფოლოგიის ინსტიტუტის საწყობში.

ზემოთთქმულიდან გამომდინარე, შემოვდივართ წინადადებით, რათა არსებული მატერიალური რესურსისა და გაზრდილი ბიუჯეტის გამოყენებით, უნივერსიტეტმა შეიძინოს მრავალპროფილური კლინიკა, რომელიც დააკმაყოფილებს საუნივერსიტეტო მოთხოვნებს და დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს სტანდარტებს (შესაბამისად: შენობის ფართი, მინიმუმ 8-10 000 კვ.მ; საწოლთა რაოდენობა, მინიმუმ 200; მოქმედი სამედიცინო დეპარტამენტები, სრულად შესაბამისი ლიცენზიით; ყველა ძირითადი სადიაგნოსტიკო-სამკურნალო აპარატურა და სამედიცინო აღჭურვილობა; სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისთვის საჭირო ფართი/რესურსი).

პატივისცემით,

დიმიტრი კორძაია

დეკანი
ადმინისტრაცია

ჭიაურელის ქ. 2, 0159 თბილისი, საქართველო
2, Chiaureli Str., 0159 Tbilisi, Georgia
http://www.medicine.tsu.ge
ტელეფონი: +(995 32) 291 31 25, 2 25 13 60 Tel.
ფაქსი: +(995 32) 252 09 76 Fax.
ელ-ფოსტა: medicine@tsu.ge; E-mail